

ახალი თაობა



ტყვია ქართულ საწებლებში



29 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი
ოცდაათი
წლის
ქალი

ფასი
გაუთითან
ერთად
11 ლარი



ოთხშაბათი, 5 ივლისი, 2017

№157 (7392)

ფასი: 50 თეთრი

„კობახიძე პარლამენტის თავმჯდომარეობიდან, ფაქტობრივად, გადააყენეს“



გვ.3

პარლამენტზე
კონტროლს
ნაციონალები ამყარებენ



ოპოზიცია კვირიკაშვილთან შეხვედრას ითხოვს




გვ.2

კახა კუკავა:
„ოცნებას“
კონსტიტუციაში
დამატებით
ცვლილებებს
შევატანინებთ“



დავით
ზურაბიშვილი:
„ივანიშვილი
პროცესებს
კულუარებიდან
მართავს“



გვ.2

რუსებმა
საზღვარი
500 მეტრით
გადმოსწიეს



გვ.4

„ქვეყნის ეკონომიკური
განვითარების
სტრატეგია მხოლოდ
ფორმალური
დოკუმენტია, რომელსაც
არავინ იყენებს“




გვ.3

დაქაბულობის ახალი
ტალღა აფხაზეთში



გვ.5

რა უძლოდა წინ სურკოვის
ვიზიტს სოხუმში



გვ.4

ოთარ ბენიძე:
„ქალიან
ვიწა, ჩვენი
კონსტიტუცია
სტაბილური
იყოს“

სადაც დეცენტრალიზაცია ხდება,
ის ქვეყანა სტაბილურია. სადაც
ხელისუფლების ცენტრალიზება
ხდება, იქ ყოველთვის პრობლემებია

საპალატო ჯიხუკების რეგულირების
თვალსაზრისით ეროვნული ბანკის
უფლებამოსილება,
შესაძლოა, გაიზარდოს



გვ.5

ISSN 1987-9385
9 771987 938006



ოპოზიციის კვირიკაში შახვედრას ითხოვს

კახა კუკავა: „ოცნებას“ კონსტიტუციაში დამატებით ცვლილებებს შევატანინებთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.

– თქვენი აზრით, რატომ განვირგინა ბიძინა ივანიშვილი პროცესებს? თქვენც ფიქრობთ, რომ ის დაპირისპირებულია კალაძესთან?

– დაპირისპირებული რომ იყოს, ალბათ ბიძინა ივანიშვილს ექნებოდა იმის ბერკეტები, რომ არ დაეყენებინათ კალაძე თბილისის მერად. თუმცა, შესაძლოა, ასეთი მეთოდი აქვს.

ხშირად საუბრობენ, რომ ივანიშვილი რუსეთში სწორედ ასე იქცეოდა. როდესაც მსხვერპლს ნებაზე მიუშვებს და მერე იწყებს მის გაგუფებას. მე დღეს დაბეჯითებით ვერ გეტყვი, დაპირისპირებულია თუ არა ივანიშვილი კალაძესთან, მაგრამ შემიძლია ერთი რამ გითხრა, ამ ორ დამიანს სრულიად სხვადასხვა გზა აქვთ.

– რას გულისხმობთ?

– 2020 წლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილის გზა საქართველოში არ ჩანს, ხოლო კალაძე აპირებს 2020 წლის შემდეგაც დარჩეს ქართულ პოლიტიკაში. ამიტომაც, ბუნებრივად, ამ ადამიანებს აქვთ სხვადასხვა დღის წესრიგი და სხვადასხვა ამოცანები.

– ანუ მათ შორის განხეთქილებას არ გამოიწვევთ?

– უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, განხეთქილება ახლა იწყება. რასაც ჰქვია სერიოზული განხეთქილება პოლიტიკურ ენაზე, ეს ალბათ მოხდება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. დღეს არის დაახლოებით იგივე პროცესი, რაც მოქალაქეთა კავშირში ხდებოდა 1997-99 წლებში. როცა მოქალაქეები გაიშალა ერთიანი იყო, მაგრამ იქ ჩამოყალიბდა რეფორმატორების და ანტირეფორმატორების გუნდი.

– ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა, რომ ჩვენ ხალხის ინტერესს გაავტარეთ, მათი მოთხოვნა იყო მაჟორიტარული სისტემის დატოვება. ასეა?

– ზაქარია ქუცნაშვილი განეკუთვნება სწორედ იმ მეორე ჯგუფს პოლიტიკოსებისა, რომელიც არ ფლობს ინფორმაციას არა მხოლოდ იმაზე, თუ რა ხდება ზოგად ქართულ პოლიტიკაში, ან საქართველოს ირგვლივ, არამედ ის საკუთარი გუნდიდანაც არ ფლობს ინფორმაციებს, თუ რა პროცესი მიმდინარეობს ახლა.

ყოველთვის გაიმარჯვებს მომავალზე ორიენტირებული ფრთა, აქ ორი აზრი არ არის. უბრალოდ, ეს რ მოხდება მყისიერად და ერთ ნაშში. ეს პროცესი დაწყებულია და ლოგიკურად დასრულდება 2020 წელს.

– ოპოზიცია პრემიერ კვირიკაში ვიღაც დიალოგზე წამოსვლისკენ მოუწოდებდა, რამდენად მოხერხდება ეს დიალოგი?

– მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს დიალოგი შედგება, იმიტომ, რომ პრემიერ-მინისტრი



არის რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი. ჩვენ არც ერთ საკითხში პრაქტიკულად თანხმობა არა გვაქვს, მას სხვა ხედვები აქვს, მე სხვა, მაგრამ ის არის ბანკირი, ის არის რაციონალურად მოაზროვნე კაცი და ძალიან კარგად ხვდება, რომ ამ სიტუაციაში დიალოგზე უარმა რა შეიძლება მოუტანოს მმართველ პარტიას. ამიტომ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს დიალოგი უახლოეს დღეებში შედგება.

– ანუ პრემიერი იმ გუნდშია, ვინც მომავალზე ორიენტირებულია?

– რა თქმა უნდა. პრემიერს რაც აკლია, ეს არის ინიციატივიანობა. ის არ არის პოლიტიკური ლიდერი, ის არავის არ აურჩევია. პრინციპში არც უნდა მას მმართველი პარტიის ლიდერობა. რასაკვირველია, ზაქარია ქუცნაშვილისგან განსხვავებით ის ხვდება, რომ როცა ვენციის კომისია გეუბნება თქვენი კონსტიტუცია არალეგიტიმურია, უკვე იცის, ვინ შეიძლება გააკეთოს შემდეგი განცხადება და რა შინაარსის. ზუსტად ვიცის, რომ კვირიკაში რა უნდა იყოს არის. მე ზუსტად შემიძლია გითხრა, რომ ეს დიალოგი დაიწყება და მასში ჩართული იქნება კვირიკაშიც და კალაძეც.

– რამდენად გაქვთ დათმობის მოლოდინი ხელისუფლების მხრიდან? შევა მესამე მოსმენის დროს ცვლილებები კონსტიტუციაში?

– აუცილებლად იქნება მესამე მოსმენის დროს ცვლილებები. რა ცვლილებები იქნება, ეს რთული სათქმელია. რა თქმა უნდა, ცვლილებების შინაარსს მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ამ ცვლილებების ფაქტი და ცვლილებების ფორმა. ანუ მცდელობა იმისა, რომ ერთ პარტიას მიეღო ცვლილებები, ეს მცდელობა ჩაიშალა.

– ანუ თქვენ უფრო მოგწონთ თქვენი, ოპოზიციის როლი ამ პროცესში?

– რამდენიც არ გვიძახებს 1%-იანები, 2%-იანები, იქ სამოქალაქო ომის „გმირი“ ხაინძრავა გამოიყვანეს სცენაზე და კუკავას აგდებულად მოიხსენიებდა და ასე შემდეგ, როგორც ალმონდა, ჩვენი 2%-იანი პარტიები უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა, ვიდრე გოგა ხაინძრავა და ზაქარია ქუცნაშვილი! ის ეს ფაქტი, ძალიან კარგად დინახა თვითონ საქართველოს ხელისუფლებაც. ჩვენ სამომავლოდ შევძლებთ პროცესის ისე წარმართვას, რომ გოგა ხაინძრავებს და ზაქარია ქუცნაშვილებს ამ პროცესში არ ექნებათ არანაირი ფუნქცია!

– უნდა ვივარაუდოთ, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ პროცესებს მიღმა და ის რადიკალების გუნდშია?

– ბიძინა ივანიშვილიც ბანკირია. აქედან გამომდინარე, ის ვერ იქნება რადიკალი, მას დასაკარგი ყველაზე უფრო მეტი აქვს. აქედან გამომდინარე, მას

რაც არ უნდა რადიკალური განწყობები ჰქონდეს, ის ისტიტუციონალურად ვერ წავა დასავლეთის დირექტივების და მისი პოლიტიკური ნების წინააღმდეგ. მე ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილი, საბოლოო ჯამში, იქნება ამ პოლიტიკური პროცესის მონაწილე. შესაძლოა ამის დიდი ხალხის არ ჰქონდეს, მაგრამ მაინც აუცილებლად იქნება.

– კეთდება შეფასებები, რომ ივანიშვილი შიგნით პროცესებს ვეღარ აკონტროლებს, ვეღარ მართავს სიტუაციას. თქვენც ასე ფიქრობთ?

– რა თქმა უნდა! ეს ქრესტომათიაა. ჩვენ ხომ ვნახეთ, ორი ვადა როგორ იყო. პირველ ვადაში, როდესაც ხელმწიფე თეთრ ცხენზე ზის, ყველას უნდა, რომ იყოს ამ თეთრი ცხენის სიახლოვეს. ხოლო მეორე ვადაში, როცა ყველა აცნობიერებს, რომ სხვა ხელმწიფე უნდა მოვიდეს, ყველა ცდილობს, დროულად მოახერხოს გარკვევა, ვინ არის ახალი ხელმწიფე და იმის თეთრ ცხენთან იყოს ახლოს. ეს ბუნებრივი პროცესია. „ქართული ოცნების“ შიგნით ისინი, ვინც ახალგაზრდები არიან, ცხადია, მომავლისკენ იყურებიან. შეიძლება გოგა ხაინძრავას ეს არ ანაღვლებს, მაგრამ თამუნა ხულორდავას და თამარ ჩუგოშვილს ჰკითხებთ აბა და დანარჩენ გოგობიჭებს, განათლებულები რომ არიან და კემბრიჯის დიპლომებით, უნდათ მთელი ცხოვრება „ქართული ოცნების“ იარლიყით იყენებ?! ბუნებრივია, ეს ადამიანები, იგივე კალაძე და სხვები, იქნებიან მოტივირებულები, რომ ამ პოლიტიკურ პროცესში ისეთი სტატუსი ჰქონდეთ, რომ 2020 წლის შემდგომ ჯვარი არ დაესვათ მათ პოლიტიკურ კარიერას.

– ანუ გემს ტოვებს უკვე ოცნების ეს ნაწილი?

– ასე ძალიანაც ნუ დააჩქარებთ პროცესებს. ახლა შენ გინდა ის ინტერვიუ ჩამომართვა, რომელიც 2019 წლის იანვარ-თებერვალში უნდა მოგცე. გემის დატოვება დაინწყება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ! საპრეზიდენტო არჩევნებამდე ხელისუფლება შეინარჩუნებს ფორმალურ ერთიანობას.

– ახალი ხელმწიფე შეგდება თეთრ ცხენზე, ვინ იქნება ეს, კალაძე?

– კალაძე ერთ-ერთი კანდიდატი იქნება. ვინც აჯობებს, ის დაჯდება თეთრ ცხენზე. მარათონი შეგვიძლია გამოვაცხადოთ გახსნილად, მაგრამ ვერავინ ვერ იტყვის 2017 წელს, ვინ გახდება პირველი პირი 2020 წელს. 2003 წლის ბოლოსაც სულ გვესმოდა შეფასებები, რომ აი, ბურჯანაძე მოდის ხელისუფლებაში, აი, ყვანია მოდის, მაგრამ ხელისუფლება ხელში სააკაშვილმა ჩაიგდო. რატომ? იმიტომ, რომ ის იყო ყველაზე სწრაფი და ადეკვატური შექმნილი ვითარების. ის ვინც იქნება ყველაზე ადეკვატური, ყველაზე ენერგიული და ვინც ყველაზე უკეთესად შეაფასებს შექმნილ ვითარებას, ხელისუფლების სათავეშიც ის მოექცევა.



დავით ზურაბიშვილი: „ივანიშვილი პროცესებს კულუარებიდან მართავს“

ნათია ხურცილაძე

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატი დავით ზურაბიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ე.წ. ელიავას ბაზრობის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებსა და თბილისის განაშენიანების გენერალურ გეგმაზე საუბრობს.

– ბატონო დავით, „ბავშვთა სამყაროში“ ცეცხლის გაჩენის ფაქტის შემდეგ ე.წ. ელიავას ბაზრობაზე გაჩენილ ცეცხლს არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა, საუბრობენ გარკვეულ ინტერესებზე. როგორც ცნობილია, ელიავას ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის გაშენების პროექტის განხილვა იყო საკრებულოს სხდომაზე. რა კავშირში შეიძლება იყოს ბოლო პერიოდში ბაზრობებზე ცეცხლის გაჩენის ფაქტი გარკვეულ ინტერესებთან?

– ამ კავშირებს ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ, თუმცა,

კავშირშია იმდენად, რამდენადაც ძალიან მალე გაკეთდა განცხადებები, მათ შორის საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენლებისგან, რომ ელიავას ბაზრობა კეთილმოეწყობა, ხალხს უკეთესი სამუშაო პირობები ექნება და ა.შ.

– ჯაბა სამუშაის განცხადებებს გულისხმობთ?

– დიახ, ეს არ არის შემთხვევითი განცხადებები. ამ პროექტს მხარდაჭერა აქვს. თბილისის საკრებულოში შემოვიდა სრულიად სხვა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა იქ დიდი დაზოგადებული ტიპის ბაზრობის აშენებას. უმრავლესობის წევრებმა, როგორც ჩანს, ამ პროექტთან დაკავშირებით არ არის ერთიანი ხედვა. ოპოზიციამ, ჩვენ, საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ჩვენი ხედვა გამოვთქვეთ ამ პროექტთან დაკავშირებით.

– საკრებულოს უმრავლესობის შიგნითაც არ არის ერთიანი ხედვა იმ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც ე.წ. ელიავას ბაზრობას უკავშირდება?

– მკვეთრი, უარყოფითი შეფასება არავისგან მომისმენია, მაგრამ, რადგან აქამდე გადაიდო, ე.ი. რაღაც შენიშვნები იყო.

ამ დროს არსებობს მეორე ხედვა,

რომელიც ეფუძნება დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმის ჯგუფის ხედვას. 2015 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ შეიქმნა გენერალური გეგმის ჯგუფი, რომელმაც პრაქტიკულად უნდა შექმნას თბილისისთვის ჩარჩო-საფუძველი, რომლის ნიადაგზეც მოხდება დედაქალაქის შემდგომი განაშენიანება. მნიშვნელოვან ადგილებში, სადაც ბევრი ინტერესის კვეთაა, მათ, ცხადია, გარკვეული მოთხოვნები და ხედვა აქვთ. მაგალითად, ე.წ. ელიავას ბაზრობაზე, რომელიც 42 ათასი კვ მეტრს მოიცავს, არის მოსაზრება, რომ დიდი საარქიტექტურული ზონა შეიქმნას, ცენტრალური პარკი. დიდი ურბანისტობა და ქალაქგეგმარების სპეციალისტობა არ სჭირდება იმის წარმოდგენას, თუ როგორ შეიძლება ის ტერიტორია განვითარდეს, სადაც ცენტრალური პარკი აშენდება, როგორ გახდება ის მიმზიდველი, მაგრამ, როგორც გითხარით, არის მეორე ხედვა, რომელზეც გაკეთდა განცხადებები საკ-

რებულოს უმრავლესობის წარმომადგენლების მხრიდან.

– ქალაქის გენერალური გეგმის პროექტის პრეზენტაცია, როგორც ცნობილი იყო, აპრილში უნდა გამართულიყო, თუმცა ჯერ ქალაქის გენგეგმა არის უნახავს. რატომ გადაიდო, როგორ ფიქრობთ?

– დიახ, გენერალური გეგმის პრეზენტაცია აქამდე უნდა გამართულიყო, თუმცა ვხედავთ, რომ არ გამართულა. როგორც ვიცო, შემოგდომისთვის არის გადადებული, რის მიზეზიც შეიძლება ის პარალელური პროექტებია, რომლებიც გენგეგმის ჯგუფის ხედვას ეწინააღმდეგება. რა არის გენერალური გეგმა? სწორედ გენერალური გეგმის საფუძველზე უნდა მოხდეს ქალაქის შემდეგი განაშენიანება, დაგეგმარება და არა ვილაცის ინტერესებისა და ჯგუფების აზრების გათვალისწინებით.

– ასეთი მოსაზრება გამიგია, რომ წარმართის მერობის დროს ბევრი არაფერი გაკეთებულა ქალაქისთვის, გაგრძელება მე-3 გვერდზე



ახალი თაობა

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოხო გოგინაშვილი

მთავარი რედაქტორი – სოხო გოგინაშვილი

რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები

ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი

საინჟინერო სამსახური – კლარა ბალაშაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55

გაფრთხილების სამსახური – მერაბ ლევინაშვილი

დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკავალდება – ინგა დვალისძე, ნონა კანდელაკი, მზია ქიქოშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.

ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგისტრირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიებში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კობახიძე პარლამენტის თავმჯდომარის თავეჯდომარეობიდან, ფაქტობრივად, გადააყენეს“

შორენა მარსაგიშვილი

პარლამენტზე კონტროლს ნაციონალები ამყარებენ

ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დიდ ცვლილებებს ელოდებიან. გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტის სპიკერმა შესაძლოა თანამდებობა დატოვოს. პოსტიდან წასვლით ის თავად დაიშურა, თუ მისი მოთხოვნა არ შესრულდებოდა და 2020 წელს არჩევნები პროპორციული წესით არ ჩატარდებოდა.

მისი ულტიმატუმი არავინ გაითვალისწინა, მაჟორიტარების ძალისხმევით პროპორციული სისტემას მხოლოდ 2024 წელს ვეღარ შევსებთ. მაჟორიტარების გამარჯვების შემდეგ კობახიძემ გადადგომაზე უარი თქვა და განაცხადა, ეს ნახევრადსურვილიანი დავიძულებულია.

შესაძლოა, მან მართლაც ისურვა, მაგრამ პარლამენტში მისი ჩანაცვლებაზე გარკვეული ძალები სერიოზულად ფიქრობენ. „ქართული მიწის დაცვის კომიტეტის“ წევრი ლადო სადღობელაშვილი „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ფაქტობრივად უკვე გადაყენებულია.

– მისმა მატარებელმა ფილარმონიის სკანდალის შემდეგ ჩაიარა. მმართველ გუნდში მან დაიწყო, რომ კობახიძეს თანამდებობას ეტაპობრივად ჩამოაშორებენ. დღეს ის ბუტაფორიად არის ქცეული და გადაწყვეტილებებს აღარ იღებს. მისი წასვლა ოფიციალურად თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გაფორმდება, – ამბობს სადღობელაშვილი.

მისი ინფორმაციით, პარლამენტზე კონტროლს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა და ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ აიღეს.

– წესითა და რიგით, სპიკერის მოვალეობები თავის თავზე პირველ ვიცესპიკერს უნდა აეღო, მაგრამ თამარ ჩუგოშვილი პარლამენტში „ოცნებას“ არ წარმოადგენს და მას სულ სხვა მისია აკისრია. ის აშშ-ის საელჩომ დანიშნა

ოდევრად და პარლამენტის ვადის ამოწურვამდე ამ მისიას შეასრულებს.

პარლამენტის თავმჯდომარის ფუნქციებს დღეს არჩილ თალაკვაძე და მამუკა მდინარაძე ასრულებენ. სპიკერის თანამდებობაზე ერთ-ერთ მათგანი იქნება წარდგენილი, – აღნიშნავს „ქართული მიწის დაცვის კომიტეტის“ წევრი.

ის არც იმას გამორიცხავს, რომ „ოცნებაში“ განხეთქილების თავიდან აცილების მიზნით კობახიძეს თანამდებობა ფორმალურად შეუნარჩუნონ.

სადღობელაშვილის თქმითვე, ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობს „ევროპული საქართველო“.

– საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ნაციონალები პარლამენტში შესვლაზე უარს აცხადებდნენ და ქუჩის აქციების დაწყებას ამირებდნენ. პარტიის ერთმა ნაწილმა, ბოკერის თამადაობით, სხვა პოზიცია დაიკავა. ისინი ხელისუფლებას გაურიგდნენ და ნაციონალები პარლამენტში შევიდნენ. პარლამენტში შესვლიდან მალევე ბოკერის ფრთამ ნაციონალებს დატოვა და „ევროპული საქართველო“ დაირქვა.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მხოლოდ „ევროპულ საქართველოს“ ელაპარაკებიან. როცა საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბარი დაიწყო, საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი პროცესის ბოკოტით დაიშურა. მათ მე-ოცნებებმა პირდაპირ უთხრეს, რომ მხოლოდ „ევროპული საქართველო“ აზრი აინტერესებდათ. ახლა „ევროპულ საქართველოსთან“ ერთად შეეცდებიან პარლამენტზე კონტროლის დამყარებას, – ამბობს სადღობელაშვილი.

მისი განცხადებით, ეს საზოგადოებისთვის მოულოდნელი არ უნდა იყოს. სადღობელაშვილი ამას კობახიძის ნაყოფად მიიჩნევს: – ხალხი თავიდანვე არ უნდა დათანხმებულ

ლიყო კობახიძის. დათანხმდნენ და ახლა შეეგონა, რომ მალე პარლამენტს გიგა ბოკერია და მისი ფრთა გააკონტროლებს. პარლამენტის მმართველობა ნაციონალების ხელში გადადის.

„ქართული მიწის დაცვის“ კომიტეტის წევრი „ოცნების“ ლიდერების ნაციონალურ წარსულზეც საუბრობს. მისი თქმით, პარლამენტს ისედაც უკვე ნაციონალები მართავენ, ამის დასამტკიცებლად კი შემდეგი არგუმენტები მოჰყავს:

– საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე წლების განმავლობაში იყო სახალხო დამცველი გიორგი ტულუშის მოადგილე და მრჩეველი. ტულუშის ყველა უკანონოზე თვალსაზრისით მას არასდროს დაუგმია ნაციონალების სისხლიანი მმართველობა. ამ მხრივ თავი არც არჩილ თალაკვაძეს გამოუჩენია. დღეს ორივე პარლამენტშია. ტულუშის ბოკერის ფრთის წევრია. ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ.

გასსოვთ ასევე აბაშიძის გუნდის წევრი ანზორ აბრალავა? დეპუტატის იყო აღორძინებიდან 1999-2004 წლებში შოდა, აი ამ ზარდიაშვილის მეუღლე თინათინ აბრალავა არის ანზორ აბრალავას ქალიშვილი, ამასთანავე, მამუკა მდინარაძის მეუღლე ნათია კუნჭულია არის ანზორ აბრალავის დასახელებული. ანუ რა გამოდის, მდინარაძე გამოდის ზარდიაშვილის სიძე.

ისე, რომ იცოდეთ, ზარდიაშვილი მდინარაძემ მიყვანა „ოცნებაში“, ხოლო თვითონ მდინარაძე 2013 წელს მივიდა „ოცნებაში“ ჩვეულებრივ იურისტად! ამ მდინარაძეს არავითარი დამსახურება არ აქვს ნაციონალების წინააღმდეგ ბრძოლაში! მეტიც, მათთან შეკრული იყო, კერძოდ, ზარდიაშვილის მეშვეობით საპროცესოებს უფორმებდა ხალხს.

სადღობელაშვილის მტკიცებით, ეს წარსული მათ ისევე დააკავშირებს ერთმანეთთან და, არ არის გამორიცხული, პარლამენტში ახალი უმრავლესობა მივიდეთ.

ცოტა ხნის წინ მან განაცხადა, რომ ირაკლი კობახიძე იქნებოდა კახა კალაძის საარჩევნო შტაბის უფროსი. ის კალაძეს მოუწოდებდა კიდევ, არ დათანხმებოდა ამას. „ოცნების“ მერობის კანდიდატის ოფიციალური წარდგენის შემდეგ სერიოზული ეჭვები გაუჩნდა.

– როცა კალაძე წარადგინეს, მან

ყველას ჩამოუარა და გადაკოცნა, ირაკლი კობახიძის კამპარჯობაც არ უთხრა. არადა, ის მისი კუდი იყო „ოცნებაში“. ეს ნიშნავს იმას, რომ მათ შორის სერიოზული უთანხმოებაა, – აცხადებს „მიწის დაცვის კომიტეტის“ წევრი.

„ოცნების“ მერობის კანდიდატის წარდგენამ მას სხვა ეჭვებიც გაუჩნდა:

– ამ წარდგენაზე ლადო სადღობელაშვილი არ ჩანდა. იყო, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ლარიბაშვილი არ ჩანდნენ, რაც შემთხვევით არ მოხდარა. ლარიბაშვილი იმიტომ არ მივიდა, რომ ივანიშვილი არ მიდიოდა, ივანიშვილს კი საამისოდ რამდენიმე მიზეზი ჰქონდა.

მე ადრეც გითხარით, რომ ივანიშვილი არ ეროდა თბილისის მერობის კანდიდატის შერჩევაში. კანდიდატურის დასახელება და წარდგენა იმიტომ დაგვიანდა. მართალია, „ოცნებამ“ კალაძე წარადგინა, მაგრამ ეს ივანიშვილის თანხმობის გარეშე მოხდა.

„ქართული მიწის დაცვის კომიტეტის“ წევრი დარწმუნებულია, რომ ყოფილ პრემიერს ამ კანდიდატურის დასახელებაზე თანხმობა არ განუცხადებია.

ის არ იზიარებს პირველი მეოცნების გარშემო გავრცელებულ ინფორმაციებს და მის გაუჩინარებას ასე ხსნის:

– ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ივანიშვილი ავად არის და საზღვარგარეთ არის სამკურნალოდ. ეს არ არის სიმართლე. ის საქართველოში იმყოფება და ამას ბევრი ადამიანი დაადასტურებს. რამდენადაც მე მექვს ინფორმაცია, ცუდად მისი მშობელი და დედის გვერდით არის, საჯაროდ კი იმიტომ არ ჩნდება, რომ „ოცნებისგან“ ჩამოშორება სურს.

სადღობელაშვილის თქმით, არც ის არის გამორიცხული, რომ ყოფილმა პრემიერმა ახალი გუნდი შექმნას.

კითხვას, იქნება თუ არა ამ გუნდში ირაკლი ლარიბაშვილი, სადღობელაშვილი ასე პასუხობს: – ივანიშვილს თუ პოლიტიკაში რაღაც ფორმით უნდა ყოფნა, მაშინ გვერდით ირაკლი ლარიბაშვილი უნდა დაიყენოს. ის მთელ ამ გუნდში ერთადერთი ერთგული ადამიანი იყო. როცა ლარიბაშვილი ხელისუფლებაში იყო, არც ნაციონალები იყვნენ ასეთი გაბლატავებული და არც ამდენი დანაშაული ხდებოდა.



„ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია მხოლოდ ფორმალური დოკუმენტია, რომელსაც არავინ იყენებს“

ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მიხეილ ჯიბუტის განცხადებით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია მხოლოდ ფორმალური დოკუმენტია, რომელსაც არავინ იყენებს. ამის შესახებ მან რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტის“ დრო ლევან ქისტაურთან ერთად ისაუბრა.



მისი თქმით, მხოლოდ სტრატეგია კი არ უნდა არსებობდეს, არამედ ამ სტრატეგიის საკანონმდებლო ბაზა. „პრობლემა ის არის, რომ ქვეყანას სამიზნე არ აქვს და თითოეული ჩვენგანი საკუთარ მიზნებს ვერ უკავშირებს იმ მიზნებს, რა მიზნებიც მთავრობას აქვს. ასევე, ქვეყანაში არ გვაქვს საკანონმდებლო ბაზა, თუ როგორ უნდა შეიქმნას სტრატეგია“.

როგორც მან აღნიშნა, სტრატეგია კარგად არის შედგენილი, მაგრამ პროგნოზებში რა ცვლილებებიც ხდება, იმაზე არავინ მსჯელობს.

– აღნიშნული დოკუმენტი ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს. ჩვენს ქვეყანას მსგავსი დოკუმენტი 2020 წლამდე აქვს განერლილი. დოკუმენტი არსებობს, კარგად არის შედგენილი, მაგრამ დევს ასე და არ იყენებს ის, ვინც რეალურად უნდა იყენებდეს. როცა ეს სტრატეგია მიიღეს, შემდეგ ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. სხვაობა იმ მონაცემებს შორის, რომელსაც სტრატეგია დაეფუძნა და 2014 წლის აღწერის მონაცემებს შორის საკმაოდ დიდია. დოკუმენტში წერია, რომ საქართველოში 4,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. მაგრამ აღწერამ აღმოაჩინა, რომ ქვეყანაში 3,7 მლნ ადამიანი ცხოვრობს. მაგრამ არავის უმჯობესია იმაზე, ამან ჩვენს პროგნოზში რა ცვლილება გამოიწვია, – განაცხადა ჯიბუტმა.

მისივე თქმით, დღეს მთავრობას რამდენიმე სტრატეგია აქვს, თუმცა ისინი ერთმანეთთან და ერთიან სტრატეგიასთან კავშირში არაა.

– პატარა-პატარა სტრატეგიები აუცილებლად უნდა იყოს მთლიანი სტრატეგიის ნაწილი. ასევე, გარემოებათა შეცვლის მიხედვით უნდა ხდებოდეს სტრატეგიის კორექტირება. დღეს მთავრობას აქვს პატარა-პატარა სტრატეგიები, მაგალითად, სოფლის მეურნეობის განვითარების, დემოგრაფიული სტრატეგია და ბევრი სხვა, რომლებიც ერთმანეთთან და ერთიან სტრატეგიულ დოკუმენტთან კავშირში არაა. ხელისუფლებას იმდენი სტრატეგია აქვს, რომ ცალკე სტრატეგია საჭირო ამ ყველაფრის გასარკვევად. ამ სტრატეგიების დეპოზიტარს არ არსებობს. მხოლოდ არსებობს დოკუმენტი, რომელსაც მთავრობის საიტზე ნახავ, – განაცხადა ჯიბუტმა.

დავით ზურაბიშვილი: „ივანიშვილი პროცესებს კულუარებიდან მართავს“

დასაწყისი მე-2 ბვერდზე

მაგრამ მთავარს – გენგეგმს დაუტოვებს თბილისს. გამომდის, გენერალური გეგმის შექმნის საკითხი გადაიდო?

– არ ვიცი, რას დატოვებს და როგორ, რადგან აქამდე ვერ დატოვა, მაგრამ ერთი პრობლემა აშკარაა: უამრავი პროექტი შემოდის, ერთ-ერთი ე.წ. ელითავს ბაზრობის ტერიტორიასთან დაკავშირებით უკვე გითხარით. ეს პროექტები არ არის გენგეგმის შემქმნელებთან შეთანხმებული. როგორც ჩანს, ეს სერიოზული პრობლემაა. ვფიქრობ, სწორედ იმიტომ შეჩერდა გენგეგმის პრეზენტაცია, რომ ვიღაცები რაღაცის მოსწრებაზე არიან. გენგეგმის დამტკიცების შემდეგ ასე თავისუფლად ვეღარ მოხდება ამ პროექტების განხორციელება. ეს იცის ყველამ. 2010 წელს ნაციონალურ მოძრაობასაც ჰქონდა ასეთი დაპირება, რომ ქალაქის გენერალურ გეგმას შექმნიდა, გარკვეული განაშენიანების თეორია დაიწყო, რომლის საფუძველზეც ქალაქი ზონებად დაიყო და ა.შ. მაგრამ ეს არ იყო ქალაქის გენერალური გეგმა. იმის შემდეგ 2 ათასი თუ 3 ათასი შესწორება შეტანილი. ამით არ დაკმაყოფილდნენ და საკრებულოსა და პარლამენტის მიერ მთელი რიგი საკანონმდებლო ნორმების მიღებული, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას, რომ განაშენიანების რეგულირების

გეგმას გვერდი აუარონ და ისე განხორციელონ მშენებლობები, რომ საერთოდ არაფერს ანგარიში არ გაუწიონ. ნარმანიამ ეს საკითხი ვერ მოაგვარა და დღესაც ზუსტად იგივე ვითარება გვაქვს, არავინ იცის, სად რა შენდება. იყო დაპირება, რომ გენერალური გეგმა დაიდებოდა, თითქოს ბოლომდე საქმე მიყვანილი, მაგრამ პრეზენტაცია დღემდე არ მომხდარა.

– ჩაიშალა?

– არა, არ ჩაშლილა, დარწმუნებული ვარ, იქნება, მაგრამ, არის მცდელობა, რომ მანამდე რაღაცები უნდა მოესწროს. არ გამოვირცხავ, რომ თუ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი გახდა მერი და ქალაქის მთავრობაში კვლავ მმართველი პარტია დარჩება, მაშინ დარჩეს ის სტრატეგია, რომელიც იყო ნაციონალების დროს, როდესაც მთავარ როლს თამაშობს სისტემა და არ დაწერილი დოკუმენტი.

– მერობის კანდიდატებზე რას იტყვი? თუ კალაძე გახდა მერი, კურსი შეიცვლება?

– კურსის ცვლილებაზე იმ შემთხვევაში შეიძლება მსჯელობა, თუკი ვიტყვით, რომ დღეს რაც დედაქალაქის პოლიტიკაში ხდება, არის არაერთი კაცის, არამედ ზოგადად ხელი-სუფლების პოლიტიკა. ის მიდგომა, რომელიც დღეს არის, რა თქმა უნდა, შენარჩუნებული იქნება ბატონი კალაძის პირობებშიც. წინააღმდეგ შემ-

თხვევაში, თუ კალაძე გახდება მერი და მას ენდობება, ეს მდგომარეობა შეცვალავს, უნდა გამოიყვანოს პოლიტიკური პარტია და გუნდი.

– ეს როგორ?

– ამას ვამბობ იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილი „ქართული ოცნებაში“ ის პოლიტიკა გატარდება, რომელიც ახლა ტარდება, სხვა ვერ გატარდება. ნარმანიასაც სულ სხვა გეგმები ჰქონდა პირველ ეტაპზე.

– ბატონო დავით, ექსპერტების მოსაზრებას, რომ ივანიშვილი პოლიტიკურ პროცესებს ჩამოშორდა და ეს გამოიწვია კალაძის წარდგენაზე, არ ეთანხმებით?

– შეიძლება დროებით ჩამოსცილდა, მაგრამ შეიძლება კვლავ აქტიური გახდეს. ეს არ არის გამორიცხული. ის, რაც აქამდე კეთდებოდა, საბოლოო ჯამში, ამ პროცესების პოლიტიკური ნება იყო. დარწმუნებული ვარ, ივანიშვილი კულუარებიდან პროცესების მართვას არ ჩამოსცილებია. ჩვენ, რესპუბლიკურ პარტიას, კოალიციაში ყოფნის დროს გვექონდა მცდელობები, რომ ბიძინა ივანიშვილის სტატუსი გარკვეულ ინსტიტუციურ ჩარჩოებში მოგვექცია, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, რადგან მას პრინციპულად არ უნდა ოფიციალური სტატუსი. მას პრინციპულად სურს იყოს კულუარებში და იქიდან მართოს პროცესები, რაც არ გამოვა. ეს შეუძლებელია.



ოთარ ბენიძე: „ქალთან მიწა, ჩვენი კონსტიტუცია სტაბილური იყო“

სადაც დეცენტრალიზაცია ხდება, ის ქვეყანა სტაბილურია. სადაც ხელისუფლების ცენტრალიზება ხდება, იქ ყოველთვის პრობლემებია

გულიკო ბალაძე

რა კავშირშია ერთმანეთთან საქართველოს კონსტიტუცია, ქვეყნის სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობა და აფხაზეთის პრობლემის მოგვარება?

საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე **ოთარ ბენიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის თავმჯდომარემ არათანმიმდევრული განცხადებები გააკეთა.

ოთარ ბენიძის შეფასებით, ჩვენი კონსტიტუცია არასტაბილურია.

– კონსტიტუცია სტაბილური გახდება მაშინ, როცა კონსტიტუციით გადამწყვეტად ფუნქციონირებს საკითხი, რაც 20 წლის განმავლობაში არ გადაწყვეტილა. ვგულისხმობ სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობას. როცა ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხს გადაწყვეტ, შემდეგ წყდება მმართველობის ფორმა და ხელისუფლების დანაწილების საკითხები, – აცხადებს ოთარ ბენიძე.

ამ კონტექსტში ოთარ ბენიძე აფხაზეთის პრობლემასაც განიხილავს.

– **ბატონო ოთარ, საკონსტიტუციო ცვლილებები ორი მოსმენით მიიღეს, რასაც უკმაყოფილება და ბათუმში ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციაზე (სადაც თქვენც იყავით მინიშნული, როგორც ჩარეული საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი) ჩამოსული ვენეციის კომისიის თავმჯდომარესთან შეხვედრები ახლდა. როგორია თქვენი აზრი ამ ყველაფერთან დაკავშირებით?**


– ბათუმში ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის თავმჯდომარეები ძირითადად და უმეტესად თავმჯდომარეები არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები. საქართველოსთან დაკავშირებით გამოხატვის გაკეთდა, სამი წელი ამ კონფერენციას საქართველო თავმჯდომარეობდა, ეს საკმაოდ საინტერესო და სასიხარულოა, რადგან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამ საინტერესო კონფერენციის თავმჯდომარეობა დაიმსახურა.

– **ბუკიკოსის შეფასებები როგორ მოგწონათ?**

– სიმართლე გითხრათ, კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით ბუკიკომ არათანმიმდევრული განცხადებები გააკეთა. ბუკიკომ ერთ განცხადებაში თქვა, კონსტიტუციის პროექტს უარყოფითი შეფასებას ვაძლევ, მეორეში თქვა, წინ გადადგმული ნაბიჯია.

– **სხვათა შორის, თავის დროზე, როდესაც სააკაშვილი ჭრიდა და კერძოდ ამ კონსტიტუციას, ბუკიკოსის უარყოფითი აზრი არ გამოუთქვამს, სააკაშვილისაგან ორდენი თუ შედალიც კი მიიღო.**

– ასეთ შემთხვევაში, როდესაც საერთაშორისო



რისო ორგანიზაციები შენიშვნებს არ აძლევს საქართველოს, ვფიქრობ, მათ მაინცდამაინც დიდად არ ახალისებთ ამ ქვეყნის რეალური წინსვლა. ეს ჩემი მოსაზრება არ არის. საერთაშორისო ექსპერტების დასკვნებიდან გამომდინარე (კონსტიტუციონალისტიები მყავს მხედველობაში), ქვეყნის კონსტიტუციის ხშირი ცვლა არასტაბილურობის მიზეზი შეიძლება. დამოუკიდებლობის 20 წლის განმავლობაში (კონსტიტუცია 1995 წელს მიიღეს), 15-ჯერ შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილება. მმართველობის ფორმა სამჯერ შეიცვალა. ეს იმას ნიშნავს, კონსტიტუცია სტაბილური არ არის და ვის რომელი მმართველობის ფორმა მოსწონს, იმ წინადადებით გამოდის. ამას თავისი მიზეზები გააჩნია.

– **მოგხსენებთ, დაძაბული 9-წლიანი ნაციონალური მმართველობის პერიოდში ოპოზიციის მოთხოვნა იყო საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლა, რაც შემდეგ სააკაშვილმა აიტაცა და შეცვალა კონსტიტუცია?**

– იდეალური არცერთი მმართველობის ფორმა არ არის. მთავარია, სახელმწიფო რომელია და რა გზას იდგას და მიდის თუ არა ეს ლიანდაგი საპარლამენტო სახელმწიფოს კენ. მმართველობის ფორმებს აქვს დადებითი მხარე და უარყოფითიც. ძირითადად მაინც ის არის მთავარი, სწორი პროცესები მიმდინარეობს თუ არა.

– **შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებებით მიღებულ კონსტიტუციაში რას იწონებთ და რას იწონებთ?**

– ეგ საკმაოდ დიდი თემაა. მე ძალიან მინდა,

ჩვენი კონსტიტუცია იყოს სტაბილური. კონსტიტუცია სტაბილური გახდება მაშინ, როცა კონსტიტუციით გადამწყვეტად ის, რაც 20 წლის განმავლობაში არ გადაწყვეტილა. ვგულისხმობ სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობას, რაც ფუნქციონირებს საკითხი. როცა ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხს გადაწყვეტ, შემდეგ წყდება მმართველობის ფორმა, ხელისუფლების დანაწილების საკითხები და ა.შ. თავის დროზე მე ვთქვი, რომ ჩანანერი, რაც დღემდე კონსტიტუციაშია – სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის საკითხი გადაწყვეტა მას შემდეგ, რაც ტერიტორიული მთლიანობა აღდგება – სასაკულებლო ჩანანერი იქნება-მეთქი. რამდენჯერ შეიცვალა ხელისუფლება, იმდენჯერ შეიცვალა მმართველობის ფორმა. იმდენჯერ შეიტანეს ცვლილებები კონსტიტუციაში. ნიშნისმიერებით არცერთი ხელისუფლების მიმართ არ ვსაუბრობ, მაგრამ ამას ექსპერტები ერთ დასკვნამდე მიჰყავს, რომ კონსტიტუცია არასტაბილურია. სამი უხაროდ, ამას პირში არ გვეუბნებიან. მით უმეტეს, როცა იმგვარი შეფასებები ხდება, თქვენი ახლანდელი პროექტი წინ გადადგმული ნაბიჯია, დემოკრატიის ხარისხი ახლა უფრო ამაღლდა. რას ნიშნავს დემოკრატიის ხარისხი ამაღლდა? დემოკრატია ან არსებობს, ან – არა. თავიანთ ქვეყნებში ასე ხშირად ცვლიან კონსტიტუციას!

– **ე.ი. თქვენ ბუკიკოსის განცხადებები არ მოგწონთ?**

– მისი განცხადებები თანმიმდევრული არ იყო. ერთ განცხადებებში ბუკიკომ საკონსტიტუციო პროექტს უარყოფითად აფასებდა, მეორეში – დადებითად.

– **რით იყო განპირობებული ბუკიკოსის შეფასებების ცვლილება?**

– არ ვიცი, თუმცა, ამ პირობებში 20 წელია ვიცნობ. ეს მას ეცოდინება, ვინც ბუკიკოსთან უშუალოდ კონტაქტობს და მუშაობს.

– **მართლაც არ არის კარგი, როცა კონსტიტუციაში ტერიტორიული მოწყობის საკითხი დაკონსერვებულია. სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობის საკითხის გადამწყვეტისა ჩვენ ხომ ვიცით, რა არის მაქსიმუმი, რაც შეიძლება შევთავაზოთ აფხაზეთსა და ოსებს?**

– პრობლემას რეალურად უნდა მივუდგეთ. ახლა ჩვენ ხელში არაფერი გვჭირავს. ამიტომ რეალობიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ. ტერიტორიული მოწყობა ისეთი საკითხი არ არის, 20 წელი არ გადაწყვეტილა და ახლა ფორსირებულად გადაწყვეტ – მშობი, აფხაზეთ, ჩვენ ვთავაზობთ ამას ამას. მე, პრაქტიკულად, მუდმივი კავშირი მაქვს აფხაზეთთან. ახლა ხელისუფლებამ ავტონომია რომ შესთავაზა, დამირეკეს და მითხრეს, ბატონო ოთარ, ამაზე უკვე აღარც კი გვეცინება.

– **აფხაზეთისა და ოსებისთვის ჩვენ რის შეთავაზება შეგვიძლია?**

– ჩვენ შეგვიძლია ვაჩვენოთ აფხაზეთს და ოსებს, როგორი სახელმწიფო აშენება გვინდა და როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის საკითხზე რომ არ ვილაპარაკოთ, ჯერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი არ არის გადაწყვეტილი. დაფიქსირებულია თვითმმართველ ერთეულად. თვითმმართველ ერთეულს თავისი სტატუსი და, აქედან გამომდინარე, კომპეტენცია და მოვალეობები უნდა ჰქონდეს.

– **ჩვენ ამის გაკეთება ხელგეწივება და ვერ ვაკეთებთ?**

– აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ჩემი ცალსახა პოზიციაა, რომ ჩვენი მხარე საერთოდ, არაფერს აკეთებს. 24 წელი გავიდა და კონფლიქტების მოგვარების საკითხზე სტრატეგია არ გავგანჩინა. არანაირი კონცეფცია არ არსებობს, რაზე უნდა ილაპარაკო? ამას ნიშნისმიერებით არ ვამბობ, გული შემეპიკვა. 25 წელია, ერთ ადგილს ვტყუვებით.

– **აფხაზეთს ჩვენთან მოლაპარაკება უნდათ? მაგალითად, ადამიანთა განცხადება, რომ აფხაზეთს ჩვენთან ერთად ცხოვრება არ სურთ. ჩვენს შეთავაზებებს არ დათანხმდებიან, დამოუკიდებლობა უნდათ და, რაც უნდა შევთავაზოთ, არ დაგვთანხმდებიან.**

– მე ასე ცალსახად არ ვიტყვოდი. ვაი, ისეთ დამოუკიდებლობას, როგორც მათ აქვთ. ახლა რას ფიქრობენ, არ ვიცი, რადგან მათთან ერთად არ გვისაუბრია. უნდა ვიხილოთ შეხვედრებს შედეგი არ მოაქვს, ხან ჩაიშლება, ხან უმნიშვნელო საკითხებზე საუბარი. თუმცა, სულ უკონტაქტობას სჯობია, იყოს შეხვედრები, მაგრამ ეს საკითხიც რადიკალურად გადასახედა.

– **თქვენ ბრძანებ, ხელისუფლება არაფერს აკეთებს აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად. არ ვიცი, რა შევთავაზოთ, პოლიტიკური ნება არ არსებობს თუ აფხაზეთთან მოლაპარაკებას აზრი არ აქვს, რადგან ოკუპაციის პირობებში ისინი თავიანთ აზრს ვერ გამოხატავენ?**

– მე აფხაზეთში დავიბადე და გაცივარდევ. აფხაზი ადამიანის ბუნება ვიცი. აფხაზი არასოდეს იტყვის, რაც გული უდევს. 1998 წლამდე მოლაპარაკებებში ვმონაწილეობდი, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ გამსესების შემდეგ მათთან პირდაპირი კონტაქტი არ მქონია. ამიტომ აფხაზეთის მხრიდან მოლაპარაკებების პოზიცია არ ვიცი. 90-იან წლებში ვინც მოლაპარაკებებზე დადიოდა, მათი პოზიცია ვიცი. ჟურნალისტები რატომ არ სვამთ კითხვას, 1998 წლამდე რატომ არ გამოაცხადეს აფხაზეთში ფორმალურად?

გაგრძელება მე-5 გვერდზე

რუსებმა საზღვარი 500 მეტრით გადაიწვიან

შორენა მარსაგიშვილი

რუსეთი მცოცავ ანექსიას განაგრძობს. გუშინ, 4 ივლისს, ცნობილი გახდა, რომ რუსმა ოკუპანტებმა გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში ე.წ. საზღვარი გადმოსწიეს და ბანერიც აღმართეს, რის შედეგადაც რამდენიმე ადგილობრივი მცხოვრებლის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი ნაწილობრივ ოკუპაციის ხაზს მიღმა მოექცა.

როგორც ჟურნალისტებს გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა დავით ცერცვაძემ განუცხადა, აღნიშნული ბანერი ძველი ე.წ. სასაზღვრო ნიშნულიდან დაახლოებით 500 მეტრითაა გადმონეული.

ინტერპრესნიუსის ცნობით, ბანერის განთავსების გამო სოფელ ბერშუეთის მცხოვრებლებს – ჩილინდრიშვილებს და ხოდელებს რამდენიმე ჰექტარ სახანავ-სათეს ფართობზე წვდომა შეეზღუდა.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ ტერიტორიაზე ინციდენტი ორჯერ მოხდა. ერთხელ, როცა ხოდელების ოჯახი მარცვლეულს თესავდა, ე.წ. მესაზღვრეებმა ოჯახის ორი წევრი დააკავეს და აღნიშნულ ფართობზე მუშაობა აუკრძალეს, 2016 წლის ზაფხულში კი იმავე ადგილას ხის ბოძები დაამონტაჟეს და ჩილინდრიშვილების ოჯახს უკვე მოყვანილი ქერის მოსავლის აღების საშუალებას არ აძლევდნენ.

რუსების უკანონო ქმედებას ოფიციალურმა თბილისმა მხოლოდ განცხადებებით უპასუხა. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ეს პროცესი კონფლიქტების მუდმივიან მოგვარებას უშლის ხელს.

– აღნიშნული წარმომადგენელი ე.წ. ბორდერიზაციის უკანონო პროცესის გაგრძელებას, რომელიც არა მარტო ზღუდავს ადგილობრივი მცხოვრებლების ფუნდამენტურ უფლებებს, არამედ მნიშვნელოვან ზიანს აყენებს უსაფრთხოების გარემოს ადგილზე და ხელს უშლის საქართველოს ძალისხმევას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის, – ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

მიხეილ ჯანელიძის უწყება სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მონიშნულ მიზნებთან, რუსეთის ფედერაცია განაგრძობს საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით აღებული ვალდებულებების უხეშ დარღვევას.

საგარეო უწყების განცხადებით, არსებული მდგომარეობა კიდევ ერთხელ ცხადყოფს უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნისა და ადამიანის უფლებათა მონიტორინგის აუცილებლობას.

– საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადო შეფასება მისცეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ მდგომარეობას და მიიღოს შესაბამისი ზომები

რუსეთის უკანონო ქმედებების აღსაკვეთად. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოიყენებს ყველა არსებულ ბერკეტს, მათ შორის უნევის საერთაშორისო დისკუსიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, რათა აღნიშნული ქმედება ადეკვატური საერთაშორისო შეფასებისა და შესაბამისი პასუხის გარეშე არ დარჩეს, – ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

ბერშუეთში რუსული ბანერების დადგმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელიშვილმაც დაგმო.

– აბსოლუტურად მიუღებელია ნებისმიერი ასეთი მოძრაობა, როგორცაა, სამხაროდ, რეგულარულად აქვს ადგილი 2009 წლიდან. ყველა მექანიზმს გამოვიყენებთ, რომ პრობლემის მოგვარებაში დავეხმაროთ ადგილობრივ მოსახლეობას. გასულ წელს მე პირადად ვიყავი ჩასული მოსავლის აღების პერიოდში სწორედ ამ ადგილზე, ვინცო ჩილინდრიშვილებსაც და ხოდელსაც და მაშინ დიდი ძალისხმევით მოვახერხეთ, რომ საოკუპაციო ხაზს მიღმა დარჩენილ ნაკვეთზე ერთ-ერთმა მოსახლემ აიღო მოსავალი.

ჩვენი სტრატეგიული ამოცანა ამ მავთულხარბებისა და სხვა ბარიერების სრულად დემონტაჟი და ვიდრე ამ სტრატეგიულ მიზანს მივაღწე-

მოხმარა. განცხადების გაკეთებამდე მისი წარმომადგენლები შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ.

ევროკავშირის მისი წარმომადგენლები ვერ აკონკრეტებენ, თუ როდის დამონტაჟდება ბანერი.

– ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შეუძლია დაადასტუროს, რომ ე.წ. ბორდერიზაციის ქმედებებს ადგილი მაქვს იქნისში, მაგრამ არ შეუძლია, ახალი მწვანე ბანერების გასულ კვირას დამონტაჟება დაადასტუროს.

ადგილზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დაკვირვების თანახმად, რამდენიმე მწვანე ბანერი ბერშუეთის მახლობლად დამონტაჟებული იყო 2017 წლის 19 ივნისს ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მახლობლად, იმ ადგილზე, რომელიც საქართველოს მთავრობის კონტროლის ქვეშ არ იმყოფება.

მიუხედავად ამისა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მწვანე ბანერების დამონტაჟებას არაკანონიერად მიიჩნევს. ნებისმიერი ფორმით ე.წ. ბორდერიზაცია, მათ შორის ბანერების დამონტაჟება, აფერხებს გადაადგილების თავისუფლებას და ფერმერებს ხელს უშლის მიწის დამუშავებაში, – ნათქვამია მისიის განცხადებაში.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ამ საკითხს ერგნეთის შეხვედრაზე დააყენებს. შეხვედრა 11 ივლისს გაიმართება.



ნეთ, ვმუშაობთ ჰუმანიტარული პრობლემების გადაჭრაზე, რათა მოსახლეობას მიეცეს მინიმუმ წვდომის საშუალება, – აღნიშნა მინისტრმა.

მინისტრის თქმით, ამ საკითხს ქართული მხარე ინიციატივების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრაზე დააყენებს. შეხვედრები სოფელ ერგნეთში პერიოდულად იმართება.

ბერშუეთის ინციდენტს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაც გა-



დაკაბულოების ახალი ტალღა აფხაზეთში

რა უძლოდა წინ სურკოვის ვიზიტს სოხუმში

მარიამ მჭედლიშვილი

სოხუმში ჩასულმა ვლადისლავ სურკოვმა, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწეა, ანექსირებულ აფხაზეთში ხაზგასმით აღნიშნა, რომ აქ პოლიტიკური სტაბილურობაა.

მისი აფხაზეთში სტუმრობის ოფიციალური მიზეზი საინვესტიციო პროგრამების განხილვაა. სურკოვის ვიზიტი დაემთხვა ოპოზიციის ახალ ულტიმატუმს ხაჯიმბას საოკუპაციო რეჟიმის მიმართ.

რაულ ხაჯიმბას მიმართ სხვებზე რადიკალური ამფერადაც „ამცახარა“ აღმოჩნდა.

თავის ყრილობაზე „ამცახარას“ ლიდერებმა გამოაცხადეს, რომ ახლანდელი ხელისუფლება ვერ მართავს რესპუბლიკას. ალხას კვიციანიამ ხაჯიმბა და მისი გარემოცვა შუა საუკუნეების დაბრუნებაში დაადანაშაულა.

მისი თქმით, აფხაზეთში ყველის კრიმინალი, ხალხი მიუბრუნდა ლინჩის წესით გასამართლებას, ქუჩებში ხშირად ხდება საქმის გარჩევები.

ოპოზიციამ ხელისუფლებას ულტიმატუმიც წაუყენა. დაპირების შეუსრულებლობის შემთხვევაში „ამცახარა“ იმუქრება, რომ ცალმხრივად გამოცხადებს ხელისუფლებასთან მიღწეული შეთანხმებებიდან. ეს შეთანხმება 2016 წლის 19 დეკემბერს დაიდო. მაშინ ოპოზიცია ხალხთან ერთად ქუჩაში იყო გამოსული. დესტაბილიზაციის თავიდან აცილების მიზნით მხარეები მორიგებაზე წავიდნენ.

ამ გარიგებით ოპოზიციას, სხვა პოსტების გარდა, უნდა მიეღო ადგილები ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საკონსტიტუციო სასამართლოში. ეს დაპირება არ შესრულდებოდა. თუ ხელი-სუფლებას სიტყვას არ შეასრულებს, ოპოზიციონერები გამოვლენ „სტაბილურობის შეთანხმებიდან“, რაც არეულობას ნიშნავს.

არასტაბილურობისთვის აფხაზეთში წინაპირობები ისედაც არსებობს. ერთი მათგანია მძიმე კრიმინოგენული ფონი. „ამცახარამ“ ხელისუფლებას დამნაშავეობასთან ბრძოლის კენაც მოუწოდა.

ანექსირებულ აფხაზეთში მოუგვარებულ პრობლემად რჩება ნარკოტიკების მიმოქცევა და ნარკომანიის დიდი მასშტაბები.

ერთადერთი, რაც ბოლო დროს მოხერხდა, ავტონსპექტორების თავგასულობისა და მათი მხრიდან ფულის გამოძალვის შემცირებაა. საგზაო პოლიციელებს აკრძალა მანქანების გაჩერება რუსეთის სახელმწიფო ნომრებით. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა საგზაო პოლიციელების ჯგუფურად ნასვლა სამსახურიდან დაბალი ხელ-



ფასების მომზიდვებით.

„ამცახარამ“ ხაჯიმბას აღმოსავლეთ რაიონების პასპორტიზაციაც მოსთხოვა. ოპოზიციას არ დაუზუსტებია, როგორ უნდა მოგვარდეს ეს საკითხი. თავად ხაჯიმბამ გალის რაიონის ქართველებზე ბინადრობის მონებების გაცემა დაიწყო.

აფხაზეთის საზოგადოების წინაშე მდგარ ორ დიდ საფრთხეზე საუბრობს „ედინაია აბხაზი-ას“ ლიდერი სერგეი შამბა. მისი აზრით, აფხაზეთის ეთნოსს ან სრული ასიმილაცია ემუქრება, ან – ეთნორადიკალიზმი.

სტაბილურობის შენარჩუნების აუცილებლობაზე საუბრობს ყოფილი პრეზიდენტი, დეპუტატი ალექსანდრე ანქვაბი.

– ჩემი ამოცანაა, არ დავუშვა ყველაზე უარესი, – ამბობს ანქვაბი.

რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი და აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის მეთაური ასეთ პრობლემებს გვერდს უვლიან და ეკონომიკურ პროექტებზე საუბრობენ. სურკოვის მტკიცებით, აფხაზეთში მხარემ კარგი პროექტები წარმოადგინა და მოსკოვი მზადაა, მათ დაფინანსებაში წვლილი შეიტანოს.

სურკოვმა მიანიშნა, უძრავი ქონების ბაზარი აფხაზეთში ძალიან შეზღუდულია. თუ მოიხსენება ბარჩეები აფხაზეთის სუვერენიტეტისთვის რისკების გარეშე, ხელი შეეწყობა ახალ ინვესტიციებს.

აფხაზეთის უძრავი ქონება ისე უთანხმოების საგანია მოსკოვსა და სოხუმს შორის. აფხაზეთში უძრავი ქონების ყიდვის უფლება მხოლოდ აფხაზეთის მოქალაქეებს აქვთ, რაც რუსეთში უკმაყოფილებას იწვევს.

სავალუტო ჯიხუარების რეპლიკების თვალსაზრისით ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, შესაძლოა, გაიზარდოს

ეროვნული ბანკი სავალუტო ჯიხუარების ზედამხედველობას მხოლოდ ფულის გათვრების კუთხით აღარ განახორციელებს. აღნიშნულს პარლამენტში ინიცირებული ცვლილებათა პაკეტი გულისხმობს, რომლის მიხედვითაც „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შედის.

როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, შესატანი ცვლილებებით იზრდება ეროვნული ბანკის უფლებამოსილებები ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგულირების თვალსაზრისით და მათი ზედამხედველობა მხოლოდ ფულის გათვრების კუთხით აღარ იქნება შეზღუდული.

პროექტის მიხედვით, ცვლილებები შედის კანონის 50-ე მუხლში და იმ საფინანსო დაწესებულებების ჩამონათვალს, რომლის ზედამხედველობასაც ახორციელებს ეროვნული ბანკი, ვალუტის გადამცვლელი ჯიხუარებიც ემატება.

ეროვნული ბანკი ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ზედამხედველობას მათი რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმების, შემოწმების, წერილობითი მითითებების გაცემის, მათ მიმართ მოთხოვნების დადგენისა და მათთვის სანქციების დაკისრების გზით განახორციელებს. სხვა უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ვალუტის გადამცვლელი პუნქტისაგან მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი (მათ შორის, კონფიდენციალური) ინფორმაცია, – ნათქვამია კანონპროექტში.

ცვლილებების მიხედვით, ეროვნულ ბანკს შეეძლება დაადგინოს სავალუტო ჯიხუარების მიერ მომსახურების განვეისას მომხმარებლის უფლებების დაცვისათვის აუცილებელი რეგულაციები. კერძოდ, ეროვნული ბანკი უფლებამოსილი იქნება განსაზღვროს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ მომხმარებლის ინფორმირების და ვალუტის გადამცვლის ოპერაციის გაუქმების წესი.

ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვალდებული იქნება მომსახურების განვეისას ვალუტის გაცვლითი კურსისა და მომსახურების საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ოდენობის შესახებ მომხმარებელს სრული ინფორმაცია მიანიჭოს. ვალუტის გადამცვლის ოპერაციის გაუქმება და გაცვლითი ვალუტის დაბრუნება შესაძლებელი იქნება ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად, – ვკითხულობთ პროექტში.

ოთარ ბანიძე: „ქალიან მინდა, ჩვენი კონსტიტუცია სტაბილური იყოს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

რად დამოუკიდებლობა?

– რატომ არ გამოაცხადეს? ჩვენგან რეალურ შეთავაზებას ელოდებოდნენ. არძინბამ პრიმაკოვს სთხოვა და პრიმაკოვმა არძინბათილისში ჩამოიყვანა.

– რა იყო ის რეალური შეთავაზება? – მე, სამსახურად, არ შემახვედრეს არძინბას, ძალიან მინდოდა, შეგვედროდი.

ვინც მონაწილეობდა, მისგან ვინც, რომ არძინბამ ჩამოიტანა წინადადება აფხაზეთის ფართო სტატუსზე ერთიან სახელმწიფოში.

– რა არის აფხაზეთის მიერ შემოთავაზებული ფართო სტატუსი?

– ეგ უკვე სპეციფიკური საკითხია და მოლაპარაკების საგანია, რა სტატუსი შეიძლება მიანიჭო. აქ ტერმინები არ არის მთავარი, მთავარია, რა შინაარსის დოკუმენტი იქნება. ზოგს ტერმინი „ფედერაცია“ აღიზიანებს. მთავარია, შინაარსობრივად როგორ დატვირთვას ამ ურთიერთობებს. მერე რა, რომ შევიცარია კონფედერაცია? კონფედერაციის განმარტებულია, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნების კავშირი. მოგეხსენებათ, შევიცარია როგორი წარმატებული და ერთიანი ქვეყანაა.

– შევიცარიას როგორ შევედრებით, მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი ნეიტრალურ სახელმწიფოდ აღიარებდნენ და არ ეხებოდნენ? – მე ტერმინებზე ვლაპარაკობ. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შინაარსს.

– რადგან კონფედერაცია დამოუკიდებელი ქვეყნების კავშირია, აფხაზეთთან ამის დაბანძულებული დოკუმენტის გაფორმების შემთხვევაში, რუსეთის მხარდაჭერით, აფხაზეთი რეალურ დამოუკიდებლობას არ მოიპოვებს?

– ვერ გავიგე, რას გულისხმობთ? – კონფედერაციაზე დათანხმება, ყოველგვარი პრობლემის გარეშე, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება არ იქნება?

– დამოუკიდებლობის აღიარება როგორ არის? – კონფედერაცია ხომ დამოუკიდებელი ქვეყნ-

ბის კავშირია? თუ ჩვენ ხელს მოვანერთ ამგვარ კავშირზე, ეს რა იქნება?

– მე კონფედერაციის შეთავაზებაზე არ ვსაუბრობ. ჩვენ ყოველთვის გვიყვარს ჩვენი თავის შედარება ამერიკასთან, გერმანიასთან, საფრანგეთთან და ასეთ ქვეყნებთან, თითქოსდა იქიდან რაღაც ვაღმოგვაქვს, მაგრამ, პრაქტიკულად, არაფერს ვაკეთებთ.

– კონფედერაციაზე აფხაზეთი თანახმა არიან? – მე არ მითქვამს, რომ კონფედერაცია უნდა შევთავაზოთ. ზოგადად ვამბობ, რომ ტერმინს არ აქვს მნიშვნელობა. ჩვენს პოლიტიკოსებს ტერმინების ემინიათ. მთავარი შინაარსია.

კონფედერაციაზე ვი არა, ფედერაციაზე ჰკითხეთ ვინმეს და ნახავთ, რა ამბავი ატყდება.

– თუმცა, ყოველ ასეთ გადამწყვეტილებაზე ხელისუფლებას პასუხისმგებლობა.

– ხელისუფლება უნდა იღებდეს პასუხისმგებლობას, მაგრამ მანამდე რეალობიდან გამოშვების შედეგებში ტერიტორიული მთლიანობა მე-5, მე-6 ადგილზეა. სანამ ეს საკითხი არ გადაწყდება, ქვეყანა რეალურად წარმატებული არ იქნება. ყველაფერი ფასადურია. ნიშნის მოგებით არ ვსაუბრობ. მე ჩემს სახლში მინდა დაბრუნება, მინდა, ჩემი შვილის საფლავზე მივიდე. აფხაზეთის სიყვარულში ნურავინ შემეჯიბრება.

– ამ საკითხზე ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღება ძალიან ძნელია, რადგან რთულია აფხაზეთისა და განსაკუთრებით რუსების ნდობა.

– მე ძალიან კარგად ვიცი, რას ნიშნავს ნდობა, რადგან მოლაპარაკებებში ვმონაწილეობდი, მაგრამ რაღაც მცდელობა მაინც უნდა იყოს. სხვანაირად როგორ გვაქვს წარმოდგენილი ამ საკითხის გადამწყვეტა? – ალბათ, ხელისუფლებები რაღაც დროს ელოდებიან. თუმცა, დროც მიდის და ჩვენ წინააღმდეგ

მუშაობს.

– დიას, როდესაც მე მოსკოვში ვიმყოფებოდი აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით მოლაპარაკებებზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ერთ-ერთმა მოადგილემ მითხრა, დათანხმდით აფხაზეთის ფართო სტატუსზე, თორემ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ დრო გაიჭიმოს, დრო კი თქვენ სასარგებლოდ არ იმუშავებს.

– ფართო სტატუსზე დათანხმების შემთხვევაში რუსეთის პოლიტიკა როგორი იქნებოდა?

– რუსეთის პოლიტიკა ზოგადად ცნობილია, რაც ჩემს თავზე განვიცადე.

– თუმცა ალბათ, უმოქმედობას მოქმედება სჯობს.

– დიას, პოლიტიკა, რომელიც რეალობას არის მოწყვეტილი, განწირულია.

– ანუ მინც შეიძლება აფხაზეთთან მოლაპარაკება და გარკვეულ საკითხებზე მათი დათანხმება?

– სტატუსზე ლაპარაკი არც უნდა იყოს. ახლა უნდა მიმდინარეობდეს აქტიური, ფორსირებული მუშაობა ნდობის აღდგენაზე. როცა ხალხებს შორის ნდობა აღდგება, მაშინ პოლიტიკურ საკითხებზე საუბარი მარტივია. ჯანდაცვის მიმართულებით პროექტები ხორციელდება. სხვა პროექტები და კონტაქტები საჭიროა აფხაზეთს მხარესთან, მაგრამ, სამსუბარობა, იმ ხალხის გამოყენებაზე, რომლებსაც რაღაც ავტორიტეტი იქ ჯერ კიდევ გააჩნიათ, არცერთ ხელისუფლებას არ უფიქრია. არ გამოიყენეს ის ადამიანები, რომლებიც აფხაზეთთან ნდობის აღდგენის საკითხში უკატარა ატურს დაედებდნენ.

– კონსტიტუციას თუ შეუძლია, ნდობის აღდგენაში რაიმე როლი ითამაშოს?

– მე გადავწყვეტიდი სახელმწიფო-ტერიტორიული მთლიანობის საკითხს და ვაჩვენებდი ნებას, ასეთი სახელმწიფო აშენებას ვაპირებთ და, აქედან გამომდინარე, იფიქრეთ-მეთქი. ამას პოლიტიკური ნების არარსებობა უმლის ხელს. როდესაც ნება არის, ოპტიმალური ვარიანტის გამოძებნა შეიძლება.

– თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, როგორ ტერიტორიული მთლიანობის შესახებ იქნება?

– მე, საერთოდ, დეცენტრალიზაციის მომხრე ვარ. სადაც დეცენტრალიზაცია ხდება, ის ქვეყანა სტაბილურია. სადაც ხელისუფლების ცენტრალიზება ხდება, იქ ყოველთვის პრობლემებია.

დღეიდან სილაგაზის სალონებს დარღვევაზე დააჯარიმებენ

დედაქალაქში სილაგაზის სალონების ოფიციალური შემოწმება გრძელდება და დღეიდან ჯარიმის ოქმები შედგება. შემოწმებას ქალაქ თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიის ცენტრის მუნიციპალიტეტის ცენტრი ახორციელებს. შემოწმების პირველ ეტაპზე, სალონებს მიეცათ ინსტრუქციები, რომელიც შესაბამის პროტოკოლით არის განსაზღვრული და რომლის შესრულებაც აუცილებელია, რათა მსგავს დაწესებულებებში ინფექციების გავრცელება არ ხდებოდეს.

როგორც ცენტრის დირექტორმა ციცი დიღებაშვილმა „კომერსანტს“ განუცხადა, შემოწმება ორი მიმართულებით მიმდინარეობს – ერთი, არის თუ არა სალონი საჯარო რესტორნი რეგისტრირებული და მეორე, ახორციელებს თუ არა ინფექციის კონტროლს.

– სალონების შემოწმება გრძელდება და დღეიდან ოფიციალური ჯარიმის ოქმების შედგენა დაიწყება. როგორც იცით, სალონებს უკვე საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტების სტატუსი აქვთ. შესაბამისად, შემოწმება ორი მიმართულებით მიდის: არის თუ არა დარეგისტრირებული საჯარო რესტორნი, როგორც საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტი და მეორე, ახორციელებს თუ არა ინფექციის კონტროლს, რომელიც პროტოკოლით განსაზღვრულია იმ სახის საშუალებებისათვის, რომლებიც თავიდან აგვაც-

ლებენ საშიშ დაავადებებს, როგორცაა B ჰეპატიტი, C ჰეპატიტი და შიდსი. ამათგან B ჰეპატიტი ყველაზე მეტად საშიშია, რადგან ნებისმიერი ბიოლოგიური გამონაყოფი საშიშია. 2017 წლის ამ პერიოდამდე თვეში 50-მდე სალონის შემოწმებას ვახორციელებდით. მას შემდეგ, რაც ჯარიმის ოქმები შედგება, სალონებს, რომლებსაც დარღვევები აღენიშნებათ, გონივრული ვადა უნდა მიეცეთ. ამის მერე ისინი ხელმოკრედ აუცილებლად უნდა გადამოწმდეს. უმეტეს სალონებში შესვლა ორჯერ მაინც მოგვინევს, – აღნიშნა დიღებაშვილმა.

მისივე განმარტებით, თუ ოქმის შედგენის და გონივრული ვადის გასვლის შემდეგ, დარღვევები აღმოფხვრილი არ იქნება, კონკრეტული საქმეები თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცემა, ხოლო ათი დღის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკურ განყოფილებას. „ხელმოკრედ შემოწმების მერე, თუ დარღვევები აღმოფხვრილი არ იქნება, მინიმუმ ორ დღეში ოქმი სასამართლოში გადაიგზავნება, ათ დღეში კი შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკურ განყოფილებაში“.

ამასთან, ციცი დიღებაშვილის თქმით, შემოწმების პერიოდში სალონების უმრავლესობამ პროტოკოლით დადგენილი წესები მოისმინა, თუმცა იყო წინააღმდეგობები და მუქარაც.





ამერიკის ხმა: ტყვია ქართულ სანელაბლებში

ჩვენ მრავალი წელია ვამონებთ ქართულ სანელაბლებს უამრავ ნიმუშს (ბოლოს ეს მოხდა 2017 წელს) და ზოგიერთ მათგანში გადამდები ეპიდემიის განსაკუთრებით მაღალი დონის ტყვიის შემცველობას, – უთხრა ამერიკის ხმას ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის პრესსპიკერი კაროლინა როდრიგესმა. მისი თქმით, დეპარტამენტი ვალდებულია, ეს ინფორმაცია პოტენციურ მომხმარებლებში რუსტინულად გაავრცელოს.

შესაბამისად, ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტმა იმპორტირებულ ქართულ პროდუქტში ტოქსიკური ლითონის მაღალი შემცველობის გამო, არაერთხელ მიმართა საქართველოს გენერალურ საკონსულტაციო ნიუ-იორკში. კერძოდ, ეს მოხდა 2011 და 2015 წლებში, რათა მათ ადეკვატური რეაგირება მოეხდინათ: შეეცაოთ ნიუ-იორკის საკონსულტაციო მომხმარებლებისთვის და ეცნობინათ შესაბამისი „უსაფრთხოებისთვის საქართველოში, საქმის შემდგომი გამოძიების მიზნით.“

შეერთებული შტატების საკვების და მედიკამენტების ადმინისტრაციის მიერ დაწესებული ნორმით, ტყვიის შემცველობა საკვებ პროდუქტში, მაგალითად, ტკბილეულში, არ უნდა აღემატებოდეს 0.1 პპმ-ს (0.1 ერთეულს მილიონზე). საქართველოდან ჩამოტანილი სანელაბლების და შეზავებული სუნელების ნიმუშებში ტყვიის შემცველობა ზოგჯერ ძალიან მაღალია და 27 000 პპმ-ს აღწევს.

რჩება თუ არა დღესაც ძალაში 8 მილიონიანი მდგომარეობის ჯანდაცვის დეპარტამენტის მიერ გაცემული გაფრთხილება? ამ კითხვაზე დეპარტამენტის პრესსპიკერი კაროლინა როდრიგესი ერთმნიშვნელოვნად გვაპასუხებს: „დაიხ. ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ნიუ-იორკში ტყვიით მონამუშის შემთხვევები, რომელიც საქართველოში წაყვანილი, ან საქართველოდან გამოგზავნილი სანელაბლებს უკავშირდება“. ჯანდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელს „ამერიკის ხმა“ 30 ივნისს ესაუბრა.

საინტერესოა, როგორ იგებს არსებული პრობლემის შესახებ ჯანდაცვის დეპარტამენტი და ზოგადად, რა ეტაპზე ხდება ამ უწყების საქმეში ჩართვა? ამერიკაში იმპორტირებულ ათამდე ქართველ მშობელთან გასაუბრების შემდეგ, რომელთა სახელების და გვარების დასახელებს უფლება არ გვაქვს, რადგან უმეტეს შემთხვევაში, საქმე არასრულწლოვანი ბავშვების ჯანმრთელობის ინფორმაციას ეხება, გავარკვევით, რომ სისხლის ანალიზში ტყვიის მაღალი დონის აღმოჩენის დროს, ექიმის ოფისი ვალდებულია ჯანდაცვის ადგილობრივ დეპარტამენტს შეატყობინოს.

დიაგნოზის დასმა ძირითადად ხდება ორსულ ქართველ ქალებში, რომლებიც ექიმებთან ყველაზე აქტიურად დადიან, ან ბავშვებში, უმეტესად, დაწყებითი სკოლის მოსწავლეებში, რომელთაც სკოლაში წასასვლელად ექიმის ცნობა მოეთხოვება. ორსულ ქალებს, რომლებსაც სისხლში ტყვიის მაღალი შემცველობა აქვთ, ხშირად შეიძლება მსგავსი დიაგნოზით უჩინდებოდნენ.

კაროლინა როდრიგესის თქმით, თუკი პაციენტის სისხლში ტყვიის შემცველობა 10 მკ/დლ-ზე მეტია, სააგენტოს ტყვიით მონამუშის პრევენციის პროგრამა მასთან გასაუბრებას და მის საცხოვრებელ სახლში გამოძიებას იწყებს. ამ დროს სახლის სხვადასხვა ზედაპირიდან და სექტორული პროდუქტებიდან სინჯებს იღებენ, ტარდება მათი ლაბორატორიული გამოკვლევა და ხდება „პოტენციური წყაროების იდენტიფიცირება“. ამის შემდეგ, თუკი ტყვიის წყაროს წარმომავლობა დადგინდა, კონტროლი უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გრძელდება, სანამ მისი სრული ელიმინაცია და მომავალში რისკების მინიმუმზე დაყვანა არ მოხდება.

– არ არსებობს ტყვიის უსაფრთხო და დასაშვები ნორმა ადამიანის ორგანიზმში, – აცხადებს შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრი. ტყვიასთან შეხება ადამიანის ორგანიზმის თითქმის ყველა სისტემის დაზიანება შეუძლია. იმის გამო, რომ ამ დროს პაციენტს გამოკვეთილი სიმპტომები არ აღენიშნება, მონამუშა ძალიან ხშირად შეუძინეველი რჩება. ტყვია არის ნიადაგში, წყალში,

დაბინძურებულ ჰაერში და, შესაბამისად, საკვებშიც. ერთ-ერთი წყაროა კოსმეტიკური საშუალებები და ძალიან ცნობილი – ინდუსტრიული საღებავი, რომელიც ლებავენ სახლებს, ავეჯს, ნივთებს და საიდანაც ხვდება ჰაერში და, შესაბამისად, ადამიანის, ცხოველის თუ ფრინველის სასუნთქ ორგანოებში.

ტყვია ძირითადად, რომლის ტოქსიკურობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის დოზაზე, ხანგრძლივობაზე, მიღების გზაზე, ასაკზე, სქესზე, გენეტიკაზე და ასე შემდეგ. მაღალი ტოქსიკურობის და სისტემური ტოქსიკურობის გამო, ის რამდენიმე სხვა ელემენტთან ერთად, სახელმწიფო ჯანდაცვის პრიორიტეტად ითვლება, რადგან მცირე დოზასთან შეხებასაც კი ადამიანის ბევრი ორგანოს დაზიანება შეუძლია. ამერიკის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის განმარტებით, ტყვია ადამიანის ორგანიზმში შეიძლება მოხვდეს შესუნთქვით, ჭამის პროცესში, სითხის დალევის დროს ან კანთან შეხებით.

ტყვიას კანცეროგენული, ანუ კიბოს პროტენციურად გამოწვევი ნივთიერების კლასიფიკაციას აძლევს ჯანდაცვის რამდენიმე წამყვანი ორგანიზაცია. ტყვიას და მის მინერალურ კანცეროგენულად მიიჩნევენ შეერთებული შტატების ეროვნული ტოქსიკოლოგიის პროგრამა (NTP), რომელიც ერთიანდება რამდენიმე სათავადად სააგენტოს ნაწილი. მათ შორისაა: ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტი (NIH), დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრი (CDC) და საკვების და მედიკამენტების ადმინისტრაცია (FDA). ტყვიას კანცეროგენულად თვლის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოც (IARC).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ტყვია არწევს თავის ტვინში, ღვიძლში, თირკმელებში და ძვლებში. დროთა განმავლობაში მისი აკუმულირება კბილებსა და ძვლებში ხდება. ძვლებში არსებული ტყვია ორსულობის დროს ორგანიზმში გამოდის და ნაყოფს რისკის ქვეშ აყენებს. სისხლში ტყვიის მაღალი დონე განსაკუთრებით საშიშია პატარა ბავშვებისთვის, საშუალოდ, 6 წლამდე. დიდი რაოდენობით ტყვიას იერიში თავის ტვინზე და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მიჰყვება. დიდ და ხანგრძლივ დოზას შეუძლია გამოიწვიოს კომა, კონვულსიები და სიკვდილიც კი. შედარებით ნაკლები დოზით მიღებისას, ბავშვებს შესაძლოა განუითარდეთ გონებრივი ან ფიზიკური ჩამორჩენილობა, ქცევითი აშლილობები, კოორდინაციის გაძნელება, კუნთოვანი სისუსტე, ანემია, ჰიპერტენზია და ნევროლოგიური დარღვევები, რომელთა გამოწვევაც შეეძლება შემდგომში შეუძლებელი ხდება.

– ფეხმძიმედ რომ ვიყავი და ანალიზები გამიკეთეს, სისხლში აღმომაჩნდა ძალიან მაღალი ტყვიის შემცველობა. რასან მე მქონდა, მოგვანიშნებოდა, ჩემი ახალშობილი შვილიც შეამოწმეს, რადგან 6 წლამდე ტყვია ყველაზე საშიში... ბავშვსაც მაღალი აღმოაჩნდა. ამიტომ ყველას გავაკეთეთ ანალიზი და გავიგეთ, რომ მესამე ადამიანსაც ჰქონდა ჩვენს ოჯახში ტყვიის მაღალი შემცველობა. მაშინათვე ჩართო ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტი, მეორე დღესვე. მოვიდნენ და პირველ რიგში შეამოწმეს სახლი. მევე იკითხეს, ხომ არ მქონდა ჩამოტანილი სუნელები აზიის რომელიმე ქვეყნიდან, ინდოეთიდან, ან სხვა ადგილიდან... მქონდა, რა თქმა უნდა, საქართველოდან ჩამოტანილი, რომელსაც, სიბართელე გიბონათ, ძალიან იშვიათად ვიყენებდი. მოკლედ, წაიღეს ნიმუშები და რამდენიმე დღის უნდა დამირეკეს და მითხრეს, რომ ყველაფერი უნდა გადაამეყარა, რადგან სუნელებს ძალიან მაღალი ტყვიის შემცველობა ჰქონდა, – ამბობს ნიუიორკელი დედა.

7 წლის ნიუიორკელი ბავშვის მამა ყვება, რომ მას შემდეგ, რაც მის შვილს სისხლში ტყვიის მაღალი შემცველობა დაუდგინდა, სახლში ჯანდაცვის დეპარტამენტიდან მივიდნენ და ყველაფერი შედარებით სწრაფად აიღეს. მისი თქმით, ტყვია ხშირად „საქართველოდან“ გამოგზავნილი უცხო სუნელში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით.



შემდეგ, ექიმისგან გაიგეს, რომ ქართველებში ეს ხშირი შემთხვევა იყო და ამიტომ, ოჯახის დანარჩენი წევრების გასინჯვაც იყო საჭირო. „მთელ ხუთსულიან ოჯახს აღმოგვაჩნდა სისხლში ტყვია მაღალი რაოდენობით“, – ამბობს ის.

– ჩემს შვილს აღმოაჩნდა სისხლში დიდი რაოდენობა, არასოდეს არ უთქვამთ ეს თბილისში ექიმებს. ანალიზებს სულ ვიღებდით და ექიმთან 6 თვეში ერთხელ დავდიოდით. როდესაც ამერიკაში ჩამოვიყვანე, პოლიკლინიკის ექიმმა სასწრაფოდ დამიბარა და ბინაში შემომშვება გამომიგზავნეს. შეამოწმეს კარი, კედლები, წყალი. მევე ვუთხარი, რომ საქართველოდან ვიყავით. მითხრეს, საქართველოში ძალიან არის ბავშვებშიც და დიდებშიც გავრცელებული. პაერი, წყალი და პროდუქტი [ალბათ] საშიშია ჯანმრთელობისთვის საქართველოს ქალაქებში. დაგვინიშნეს ვიტამინები D-3 და C, მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა სვას. D-3 ბლოკავს და ძვლის ტვინში არ ატარებს ტყვიას. ვინც საქართველოში ცხოვრობდა, ყველამ გაიკეთეთ ეს ანალიზი“, – ამბობს ნიუიორკელი დედა და ვთხოვს, რომ მისი ამბავი გავაგებინოთ ყველას, ვისზეც ხელი მიგვიწვდება. იქნებ ვინმეს დაეხმაროს, „იქნებ მეტმა დედამ აუღოს ანალიზი შვილებს. ოღონდ მე მიზღვი არ ვიცი, თუ რატომ აღმოაჩნდა ჩემს შვილს ტყვია. სანელაბლებს ვერ დავაბრალებ.

არის თუ არა ტყვია მართლა მართო ქართულ სანელაბლებში, თუ საქართველოდან ჩამოტანილი დანარჩენი საკვებ პროდუქტში? ჯერჯერობით ამ კითხვაზე კვალიფიციური პასუხი არ გვაქვს, რადგან სხვა პროდუქტში ჩვენ მიერ გამოკვლეულია შორის, ლაბორატორიულად არავის შეუმოწმებია. ქართველი იმიგრანტების უმეტესი ნაწილი, რომელთაც ჩვენ გვაკვსავრებთ, ეჭვობს, რომ ტყვია, შემომშვების შემთხვევაში, შესაძლოა ბევრ სხვა ქართულ პროდუქტშიც იშვოდეს, რომელიც სუნელით ბაზარში და ქუჩაში ღიად იყიდება და საექსპორტოდ გათვალისწინებული არ არის. ამ ვარაუდის საფუძველს მათი ის ფაქტი აძლევს, რომ ამერიკული ჯანდაცვის დეპარტამენტის შემოწმებისას, ქართული საკვები პროდუქტებიდან სახლში მხოლოდ სანელაბლები აღმოაჩნდა, რომელიც თვითონ იხსებდა. თუმცა, ეს მხოლოდ მათი ეჭვია.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის გაფრთხილება მხოლოდ ქართულ სანელაბლებს არ ეხება. იმპორტირებულ პროდუქტებში, რომელშიც ტყვიის მაღალი შემცველობა აღმოაჩინეს, სახელდება ბანგლადეშის სანელაბლები; თიხის ჭურჭელი, რომელიც დამზადებულია მექსიკაში, ეკვადორში, თურქეთში და უზბეკეთში; სხვადასხვა ქვეყნის კოსმეტიკური, თუ რელიგიური დანიშნულების ნაწარმი; ბავშვის სათამაშოები და მობრუნდელთა სამკაულები.

ტოქსიკური ლითონის მაღალი შემცველობის ქართულ სანელაბლებს შორის ჯანდაცვის დეპარტამენტის მიერ დასახელებულია: „ყვირთელი ყვავილი, ან ზაფრანი; სვანური მარლი; სმელი სუნელი, ან ხარჩოს სუნელი; მწარე წინაკა, დაფქვილი ჩილი, წინაკა, დაფქვილი კერი, კოჭა, ქინძი და კვლია; ქართული მარლი, ან სვანური მარლი; უცხო სუნელი, ან შამბლა; მშრალი აჯიკა; საცივის სუნელი“. გაფრთხილების დასასრულს, ჯანდაცვის დეპარტამენტი შემდეგ რეკომენდაციას იძლევა: „თუ თქვენ მიიღეთ სანელაბ-

ლები საქართველოდან, სთხოვეთ თქვენს ექიმს, ჩაგიტაროთ სისხლის ანალიზი ტყვიისაზე. თუ არ გყავთ ექიმი, დასმარების მისაღებად, დარეკეთ 311-ზე“. განცხადება ჯანდაცვის დეპარტამენტის ვებგვერდზე ინგლისურ და ქართულ ენებზეა გამოქვეყნებული.

რამდენად ხშირია საქართველოდან ახლად ჩამოსულბში ტყვიის მაღალი დონე? ამ კითხვით წარმოშობით ქართველ, ნიუ-იორკში მცხოვრებ პედიატრს, მაიკლ ჰანანს მივმართეთ, რომელსაც ექიმის ოფისი ბრუკლინში აქვს გახსნილი. ბრუკლინში ქართველი იმიგრანტები ყველაზე მჭიდროდ სახლობენ და როგორც მაიკლმა გვითხრა, მისი პაციენტების სულ ცოტა, 35 პროცენტი ქართული დიასპორის წარმომადგენელია.

– მე შემიძლია გითხრა ერთი რამ, რომ ეს პრობლემა ახალი არ არის და 2008 წლიდან ფიქსირდება. ბავშვები ჩამოდიან საქართველოდან და მათ სისხლში ტყვიის მაღალი შემცველობა აქვთ. ჩემთვის საკვირველია, იმიტომ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებიდანაც მოდიან ჩემთან, რა თქმა უნდა. ბევრია შუა აზიის ქვეყნებიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან. არ ვიცი, საიდან არ ჩამოდიან, მაგრამ უმეტესად, ქართველ ბავშვებს აქვთ ეს პრობლემა, – ამბობს ის.

ტყვიის მაღალი დონე ექიმ ჰანანის მიერ გასინჯულ პაციენტებში, საშუალოდ ყოველ მე-10 ქართველ ბავშვს აღენიშნება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართულ იმიგრაციაში მსგავსი პრობლემა შესაძლოა გაცილებით მეტს აღმოაჩინდეს, რადგან ამ დიაგნოზის მქონე ადამიანები, სიმპტომების არქონის გამო, ექიმს, როგორც წესი, იშვიათად მიმართავენ.

ტყვიით მონამუშის შემთხვევები მხოლოდ ნიუ-იორკში არ შემოიფარგლება, ვაშინგტონში მცხოვრებმა ერთ-ერთმა მშობელმა დაახლოებით იგივე ამბავი მოგვიყვა. მას შემდეგ, რაც მის 9 თვის შვილს სისხლში ტყვიის მაღალი შემცველობა დაუდგინდა, ექიმმა ჯანდაცვის დეპარტამენტს შეატყობინა. მის სახლში სასწრაფოდ მოვიდნენ დეპარტამენტის თანამშრომლები, აიღეს უამრავი სინჯი თითქმის ყველა კუთხიდან, მაგრამ ტყვია მარტო ყვირთელ ყვავილში აღმოჩნდა, რომელიც მათ საქართველოდან ჰქონდათ ჩამოტანილი.

– სანელაბლებში ტყვიის დონე არანორმალურად მაღალია. არანორმალურად, ზუსტად ეს სიტყვა მითხრეს, – ჰყვება ვაშინგტონელი დედა.

„ამერიკის ხმა“ დაუკავშირდა საქართველოს საკონსულტაციო ნიუ-იორკში, სადაც დაადასტურეს, რომ მათ 2015 წელს მართლაც მიიღეს „შეტყობინება ქართულ სუნელებში ტყვიის მაღალი შემცველობის შესახებ არსებობის შესახებ“. ამერიკული მხარის თხოვნით, აღნიშნული ინფორმაცია მიენოდა საქართველოში კომპეტენტურ ორგანოებს“. თუმცა, ინფორმაცია ოფიციალურად არ გავრცელებულა პოტენციური რისკის ჯგუფში, ანუ ქართველ ემიგრანტებში. მას შემდეგ, რაც on.ge-ში ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის გაფრთხილება პირველად გამოქვეყნდა, განცხადება გააკეთა საქართველოს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ. კომენტარის გარეშე ვთავაზობთ „ინტერპრესნიუსში“ 30 ივნისს გამოქვეყნებულ განცხადებას:

– სურსათის ეროვნული სააგენტო სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ქართულ სუნელებში დღეს არანაირი შემთხვევა არ მოქმედებს. სააგენტო მუდმივად აწარმოებს მონიტორინგს და ლაბორატორიულ კვლევას. დღეს ქართულმა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის განცხადება ქართული ნარმოების სანელაბლებში ტყვიის მაღალი შემცველობის შესახებ, რაც არის 2015 წლის ინფორმაცია და არავითარი ენართო არ აქვს დღევანდელ რეალობასთან. სურსათის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს მედიასაშუალებებს, თავი შეიკავონ გადაუშვებელი ინფორმაციის გავრცელებისგან და ნუ შეიყვანენ საზოგადოებას შეცდომაში.

4 თვეში რუსეთიდან 1,6 მილიარდი დოლარის უსხოური კაპიტალი გავიდა



რუსული გაზეთის ინფორმაციით, თებერვლის შემდეგ უცხოურმა ინვესტორებმა რუსული აქციებიდან \$1.6 მილიარდი ოდენობის თანხა გაიტანეს. Emerging Portfolio Fund Research-ის (EPFR) კვლევის თანახმად, რუსული საფონდო ბირჟიდან მხოლოდ 1 კვირის განმავლობაში (22-28 ივნისი) \$83 მილიონი იქნა გატანილი.

ამასთან, EPFR-ის ინფორმაციით, დროის ანალოგიურ პერიოდში (4 თვე), სხვა განვითარებადმა ბაზრებმა თითქმის \$28 მილიარდის ოდენობის ინვესტიაცია მიიზიდეს. „რუსული აქციების ბაზარი აუტსაიდერის როლში აღმოჩნდა, რომლითაც ყველაზე მეტად ჩინეთი ინტერესდება (\$4 მილიარდი).

მიმდინარე შედეგებთან შედარებით, რუსულმა ფონდებმა უფრო მეტი დანაკარგი 2013 წელს განიცადეს, როდესაც რუსული აქტივებიდან უცხოელმა ინვესტორებმა \$2.47 მილიარდი გაიტანეს. თუმცა იმავე პერიოდში, მსგავსი ტენდენცია სხვა განვითარებად ბაზრებზეც შეინიშნებოდა, რაც აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის გადამწყვეტილებით და დაბალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებთან იყო დაკავშირებული.

ნავთობისა და გაზის კორპორაციას მოგება 2.5-ჯერ, 78 მილიონამდე გაეზარდა

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (GOGC) 2016 წელი მკვეთრად გაუმჯობესებული ფინანსური მაჩვენებლებით დაასრულა. კომპანიის მოგება 2.5-ჯერ გაეზარდა, წმინდა მოგება და კომპლექსური შემოსავალი 78 მლნ ლარს აჭარბებს (2015წ. 30.9 მლნ).

59 მილიონი, 149.5 მილიონამდე გაზრდილი საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი. გაიზარდა კორპორაციის ჯამური შემოსავალი და 2016 წელს 633,6 მლნ. ლარამდე გაიზარდა, რაც 2015 წლის მონაცემებზე 27,9%-ით მეტია. 2015 წელს ეს ციფრი 495,4 მლნ. ლარი იყო

2016 წლის ბოლოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის აქტივები 1.581 მლრდ ლარს აღემატებოდა. გარდა ამისა კომპანიის მიერ ცივილიზაციის თბომაგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის შედეგად კორპორაციამ შემოსავლების დივერსიფიცირება მოახდინა. 2016 წელს შემოსავალი ელექტროენერჯის წარმოებიდან და მინოდენიდან 184,4 მლნ ლარს გაუტოლდა (2015 წელს 48,7 მლნ. ლარი), ხოლო საოპერაციო მოგებაში აღნიშნული სეგმენტში 102,1 მლნ. ლარი შეადგინა (2015 წელს 23,7 მლნ. ლარი), – აცხადებს კომპანია.

აღსანიშნავია, რომ „ნავთობის და გაზის კორპორაცია“ 2016 წელს წარმატებით განახორციელა 250 მილიონი აშშ დოლარის ევრობოლიგაციების რეფინანსირება. კომპანიის ევრობოლიგაციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე გასულ კვირას დაიხურა ფასით 105.5 (+0.1% წინა კვირასთან შედარებით), 5.1%-იანი შემოსავლიანობით.





შსს-მ ინფორმაციის რესპუბლიკის ორი მოქალაქე გარყვნილი ქმედების ბრალდებით დააკავა



შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისან-სამგორის სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ინფორმაციის რესპუბლიკის ორი მოქალაქე – 1991 წელს დაბადებული ჯ.ს. და 1995 წელს დაბადებული რ.ს. თბილისში დააკავეს.

შსს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ვარკეთილში, დროებით საცხოვრებელ ბინაში, არასრულწლოვნის მიმართ გარყვნილი ქმედება განახორციელეს. გამოძიება გარყვნილი ქმედების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 141-ე მუხლით).

გარკვეულ ინფორმაცია, რომ ვარკეთილში უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა 5 მოზარდი სახლში მოტყუებით შეიყვანეს, გააშვილეს და ფოტოები გადაუღეს. ფაქტი მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც არასრულწლოვნებმა მომხდარის შესახებ მშობლებს უამბეს.

ფოტოში 45 წლის მამაკაცი ეპოვებოდა კალა მოკლა



ფოტოში, 9 აპრილის ხეივანში, ქალმა 45 წლის მამაკაცი მოკლა. გარდაცვლილს ჭრილობები გულ-მკერდის არეში აქვს მიყენებული. ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.


მკვლელობის მიზეზი მეზობლებისთვის უცნობია. მათი თქმით, დანაშაულში ეჭვმიტანილი მოკვლევის მეგობარი ქალია.

როგორც ადგილობრივები ამბობენ, მათი საცხოვრებელიდან ხშირად ხმაური გამოდიოდა.

– ისინი ხშირად სვამდნენ და ჩხუბობდნენ. ჭრილობა დანითაა მიყენებული. მიზეზი ჩვენთვის უცნობია, – განაცხადა გარდაცვლილის მეზობელმა მანანა გოგოლაურმა.

შსს-ს ინფორმაციით, ეჭვმიტანილი დაკავებულია და საქმე „სისხლის სამართლის კოდექსის“ 108-ე მუხლით აღიძრა, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

შსს-მ ლიანდაგების მოპარვის მსჯელობის ფაქტზე ოთხი პირი დააკავა



შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1976 წელს დაბადებული შ.ფ., 1981 წელს დაბადებული თ.გ., 1983 წელს დაბადებული ლ.ა. და 1992 წელს დაბადებული ნ.ბ. ქურდობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, სამართალდამცველებმა ბრალდებულები ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალ აბასთუმანში იმ დროს დააკავეს, როდესაც ისინი საქართველოს რკინიგზის კუთვნილი 46 მეტრი სიგრძის ლიანდაგების მოპარვას ცდილობდნენ. ოთხივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ქურდობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს.

გიორგი ფანცულაია: „დეკანოზი ვიდეორეგისტრაციის სიჭყვასივით აგზავნის, მე ამ ციანიდის გამოყენებას არავის მიმართ არ ვაპირებ, ღმერთმა დამიფაროსო“



დეკანოზი გიორგი მამალაძე ვიდეორეგისტრაციის სიჭყვასივით, მე ამ ციანიდის გამოყენებას არავის მიმართ არ ვაპირებ, ღმერთმა დამიფაროსო.

ამის შესახებ დეკანოზი გიორგი მამალაძის ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ, ე.წ. ციანიდის საქმეზე, სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

ლეების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა. როგორც მან აღნიშნა, დღეს დაკითხული ვერც ერთი ექსპერტი ვერ დადასტურდა, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე ვინმეს მოკვლას აპირებდა.

– ამას ყველაფერს მოსამართლე აფასებს და სწორედ ამიტომ გვინდა სასამართლოს საჯაროობა, რათა საზოგადოებამაც დაინახოს, რომ ვერც ერთი ექსპერტი, რომელიც მონაწილეობს დაიკითხა, ვერ ასაბუთებს, რომ მამა გიორგი ვინმეს მკვლელობას აპირებდა. არც ის ვიდეო ჩანაწერები, რომელიც ირაკლი მამალაძემ ჩაწერა... ამ ჩანაწერებში არ არის საუბარი ვინმეს მკვლელობაზე. ამ ვიდეოში დეკანოზი გიორგი მამალაძე ამბობს სიტყვასიტყვით, რომ „მე ამ ციანიდის გამოყენებას არავის მიმართ არ ვაპირებ, ღმერთმა დამიფაროსო“. აქედან გამომდინარე საქმე იქითვე მიდის, რომ მოსამართლეს გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ყველაზე ნაირი საფუძველი აქვს, – განაცხადა გიორგი ფანცულაიამ.

ადვოკატის თქმით, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისთვის, რომ დეკანოზი სასამართლოს განხილვების დასრულებამდე პატიმრობაში დარჩეს და ფანცულაია დარწმუნებულია, რომ ადრე თუ გვიან ბრალდებულს



აღკვეთის ღონისძიება შეეცვლება. – მომდევნო პროცესებზე მოსამართლემ აუცილებლად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და ეს ადამიანი გაათავისუფლოს, ვინაიდან არ არის არავითარი აუცილებლობა, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე სასამართლო განხილვების ბოლომდე დარჩეს პატიმრობაში, – განაცხადა ფანცულაიამ.

მიხეილ რამიშვილი: „ქსეპრების ჩვენებას ჩვენებას ჩვენებას ჩვენებას ჩვენებას“

– ექსპერტების ჩვენებების საფუძველზე შემოძლია ვთქვა, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე აუცილებლად იქნება ცნობილი უდანაშაულოდ, თუ ჩვენს ქვეყანაში არსებობს მართლმსაჯულება.

ამის შესახებ დეკანოზი გიორგი მამალაძის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა ე.წ. ციანიდის საქმის გუშინდელი სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც რამიშვილმა აღნიშნა, გუშინ დაკითხული მოწმეების ჩვენებით კიდევ ერთხელ დადასტურდა დეკანოზისთვის წაყენებული ბრალდებების აბსურდულობა.

– ამ ჩვენებების საფუძველზე შემოძლია ვთქვა, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე აუცილებლად იქნება ცნობილი უდანაშაულოდ, თუ ჩვენს ქვეყანაში არსებობს მართლმსაჯულება.

– თუ არსებობს მართლმსაჯულება, იმით ვამბობ, რომ დღეს სასამართლომ პატიმრობაში დატოვა მამა გიორგი, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურას არ ჰქონდა არავითარი არგუმენტი იმისა, თუ რატომ უნდა იყოს მამა გიორგი პატიმრობაში. ვიმედოვნებ, იმ შეცდომას, რომელიც დღეს მოსამართლემ დაუშვა, განაჩენის გამოტანისას არ დაუშვებს. ეს უსამართლობა თუ გაგრძელდა, საქართველოში ნამდვილად არ დასრულდება. ამას არ დავამთავრებთ იმის ფონზე, რომ ვინმეს მივცეთ საშუალება და ნება, როგორც მას სურს, ისეთი სამართალი აწარმოოს, რადგან სამართალი ყველასთვის ერთია, ვინც არ უნდა იყოს, მალაღობა, დაბალიც, მსუქანიც და გამხდარიც, – აღნიშნა მიხეილ რამიშვილმა. ე.წ. ციანიდის საქმის სასამართლო განხილვა 7 ივლისს კვლავ სახელმწიფო ბრალდების მოწმეების დაკითხვით გაგრძელდება.



ზაზა ხატიაშვილი: „აღმოკვდა მთელი საქართველო“

– საქართველოს პროკურატურის უკანონო მოქმედებებს ადვოკატებთან მიმართებით არ აქვს დასასრული.

ამის შესახებ ნათქვამია ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილის განცხადებაში.

ზაზა ხატიაშვილი ადვოკატ ცოტნე ტყეშელაშვილთან მიმართებით ერთ-ერთი პროკურორის უკანონო ქმედებაზე საუბრობს.

„ინტერპრესნიუსი“ ზაზა ხატიაშვილის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

– საქართველოს პროკურატურის უკანონო მოქმედებებს ადვოკატებთან მიმართებაში არ აქვს დასასრული. პროკურორებმა ელემენტარულად ვერ ისწავლეს, რომ ადვოკატის გამოკითხვა არ შეიძლება იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი მოქმედებდა თავისი საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელების დროს. პროკურორი და ადვოკატი წარმოადგენენ მხარეებს სისხლის სამართლის პროცესში. წარმოუდგენია ვინმეს, რომ ადვოკატს თვითონ მოუხდეს იმ პროკურორის გამოკითხვა, რომელიც გამოდის კონკრეტულ საქმეზე როგორც პროკურორი? ადვოკატებმა იციან, რომ აღნიშნული მოქმედების ჩატარება არ შეიძლება და ამგვარ პროცესულურ აბსურდს არასოდეს არ მიმართავენ, სასამართლოში პროკურორის გამოძახების და დაკითხვის გარდა.

ადვოკატი ცოტნე ტყეშელაშვილი განაცხადა, რომ მთავარი პროკურატურის პროკურორის ვინმე „გრიგოლის“ დაშინების ობიექტი.

2017 წლის 29 ივნისს ადვოკატ ცოტნე ტყეშელაშვილს მოხილურ ტელეფონზე დაურეკა უც-



ნობმა პირმა რომელიც გაეცნო, როგორც „პროკურორი გრიგოლი“, რომელმაც სთხოვა ადვოკატს მისუფიყო მთავარ პროკურატურაში მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მსჯავრდებული კახაბერ ლომიძის განცხადების და მის მიერ მიცემულ ინტერვიუსთან მიმართებაში. როდესაც ადვო-

კატმა განაცხადა უარი პროკურატურაში ვიზიტზე და განუცხადა „პროკურორი გრიგოლი“, რომ მისი გამოკითხვა არ შეიძლება ვინაიდან იგი ახორციელებს კონკრეტული პირის დაცვას და მოქმედებდა როგორც ადვოკატი, პროკურორმა გრიგოლიმ უკვე ხმას აუწია და შეეცადა ადვოკატის დაშინების თავისი სტატუსით.

„პროკურორმა გრიგოლიმ“ მოსთხოვა ადვოკატის მისუფიყო პროკურატურაში, მაგრამ ადვოკატის კატეგორიული უარის შემდეგ „პროკურორმა გრიგოლიმ“ ტელეფონი გათიშა. საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორის ვინმე „პროკურორი გრიგოლის“ უკანონობის გამო, ადვოკატ ცოტნე ტყეშელაშვილთან მიმართებაში სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევას, რომელიც დასჯადია სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლის მიხედვით.

„პროკურორი გრიგოლის“ მხრიდან განხორციელებული ქმედებები ასევე წინააღმდეგობაში მოდის გაეროს ძირითადი პრინციპებთან ადვოკატის როლის შესახებ (1990).

კერძოდ, მე-16 მუხლის თანახმად: „ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ადვოკატებს (ა) შეუძლიათ, შეასრულონ თავიანთი პროფესიული ფუნქციები დაშინების, დაბრკოლების, შევიწროების ან უადგილო ჩარევის გარეშე;

ადვოკატთა ასოციაცია მოითხოვს ეფექტური გამოძიების ჩატარებას ადვოკატ ცოტნე ტყეშელაშვილთან მიმართებით განხორციელებული უკანონო მოქმედებების გამო, – ნათქვამია ზაზა ხატიაშვილის განცხადებაში.

ურეკა ზღვა მამაკაცის ცხედარი გამოიყვა

ურეკაში ზღვაში 55 წლის მამაკაცის ცხედარი გამოიყვა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

დაღუპული მამა-შვილი და 2 დაზარალებული – საზარელი აპრილი წინადადთან

წინადადში მომხდარ ავტოავარიას 2 ადამიანი ემსხვერპლა, ორი კი დაზარადა. თვითმკვლელობა განცხადებით, 06-ის მარკის ავტომობილმა მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა და კომბაინს შეუვარდა. მძღოლი და ერთი მგზავრი ადგილზე დაიღუპნენ.

არსებული ინფორმაციით, ავტომანქანაში მამა და მისი ოთხი წლიანი იმყოფებოდნენ. დაღუპულია მამა-შვილი.

მძიმეა მოზარდის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით დაიწყო, რაც ითვალისწინებს ტრანსპორტის უსაფრთხოების წესების დარღვევას, რასაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.



პუტინი ჩინეთის ლიდერს შეხვდა



მოსკოვში ჩინეთის ლიდერი სი-ცზინ-პინი ჩავიდა. მას ვლადიმერ პუტინი შეხვდა. მოლაპარაკებების ძირითადი თემა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება იყო.

რუსეთში მონარქიის აღდგენა სურთ

მიტროპოლიტი მაილარიონმა, რომელიც რუსეთის საპატრიარქოში მეორე კაცია, განაცხადა, რომ ქვეყანაში მონარქია უნდა აღდგეს. მიტროპოლიტის აზრით, ტახტზე რომანოვების უნდა დაბრუნდნენ.



პაპრო პოროშენკო აშერიკელ კონგრესმენებს შეხვდა



კიევიში ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაცია ჩავიდა. მასში როგორც რესპუბლიკური, ისე დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები შედიან. ამერიკელი სტუმრები პირადად პრეზიდენტმა პოროშენკომ მიიღო.

დენსტრისპირეთის რუსუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი მოლდოვაში გაიქცა

დენსტრისპირეთის ყოფილი პრეზიდენტი შევჩუკი ტირასპოლიდან გაქრა. როცა პოლიცია მის ბინაში ჩხრეკის ჩასატარებლად მივიდა, სახლი ცარიელი დახვდა.



უოლტ დისნეის დონალდ ტრამპის მოლაპარაკება ფიგურა დაიდგმება



გასართობ პარკ უოლტ დისნეის ვორლდში, რომელიც ამერიკის ფლორიდის შტატში მდებარეობს, დაიდგმება აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მექანიკური მოლაპარაკება ფიგურა.

დაწერა სმიტმა. საკუთარი მექანიკური ორეულეები ასევე გახმოვანებული ჰყავთ ბილ კლინტონს, ჯორჯ ბუშ-უმცროსს და ბარაკ ობამას.

მილიონი ფუნტის მოგება მოლარა დაბალანაზღაურებად სასახურში დარჩა



ბრიტანეთის უესტ-მიდლენდის საგრაფოს ქალაქ ვულვერემპტონის მცხოვრებმა ქალბატონმა, რომელმაც ლატარიაში მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო, გადაწყვიტა, სუპერმარკეტში მოლარედ მუშაობა გააგრძელოს.

დონალდ ტრამპი ჩრდილოეთ კორეაში იქნება პირველი ამერიკელი პრეზიდენტი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სიტყვიერ ომს განაგრძობს.



სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ

სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

განსხვავებები

- გვესაჭიროებს თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვანი კომპანიის ესაჭიროება უფროსი მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.
- ალკოჰოლიზმი, „პაპმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისგან გამონეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტყვისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეუროთ ფარულად საკვებში. სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუწვევება გამოიცხადება. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.
- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენი დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭ-შეკრულობა, კუჭ-პილილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტყვის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ: 558-34-36-24.
- კოქსარტროზის, სტოქოქონდროზის, რევმატიზმის, პოდარგების, ართროზების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის განმედა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, სპირიტუალური, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსული, ვენერიული) – მკურნალობა უკუწვევების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტური გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გასდომი თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის განმედა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანი. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის განმედა ქოლესტეროლისგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის აღდგენის (ავთვისებიანი გადაავარების დროსაც!), შარდის მოშლა-გასწორების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდისგან ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკური) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის სავსეთო განმედა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.



პოლანდია და ინგლისი ბ ჯგუფში დანიანურდენ

უფას 19-წლამდე ჩემპიონატზე ბ ჯგუფის პირველი შეხვედრები გაიმართა.

დავით პეტრიაშვილის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს გერმანიისა და პოლანდიის 19-წლამდე ნაკრები გუნდები დაუპირისპირდნენ. მატჩის დაწყებამდე სტადიონის გახსნის ცერემონია გაიმართა, რომელშიც სფფის პრეზიდენტთან, გენერალურ მდივანთან და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრთან ერთად საქართველოში სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოსულმა უფას გენერალურმა მდივანმა თეოდორ თეოდორი-დისმა და უფას ეროვნული ასოციაციების ხელმძღვანელმა ზორან ლაკოვიჩმა მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიებას უფას ნეკრი სხვა ასოციაციების ხელმძღვანელები დაესწრნენ.



ეს ანგარიშზე, ერთი გოლი კი ჯერი გროტმა გაიტანა.

ბ ჯგუფის მეორე შეხვედრაში ინგლისის 19-წლამდე ნაკრები ბულგარულ თანატოლებს დაუპირისპირდნენ და 2:0 გაიმარჯვეს.

ანგარიში პირველ წუთზე მოუნთმა გახსნა და ტურნირის ყველაზე სწრაფი გოლი დაფიქსირა, 48-ე წუთზე კი სესენიონმა თავისიანები კიდევ უფრო დაანინაურა.

გოლის გატანის რამდენიმე რეალური შანსი ბულგარელებსაც ჰქონდათ, მაგრამ გადაწყვეტილი მომენტში მათ ფეხბურთელებს სიხუსტე არ ჰყოფნიდათ.

გიორგი ჩაქვაძეაპე ავროპული პედიის ყურადღების ქვეშ მოქცა



თბილისში მიმდინარე 19 წლამდე ევროპის ჩემპიონატს დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს სხვადასხვა ქვეყანაში. რამდენიმე სპორტულმა ინტერნეტგამოცემამ უკვე მიაპყრო ყურადღება საქართველოს 19-წლამდე ნაკრებისა და თბილისის დინამოს ნახევარმცველ გიორგი ჩაქვაძეს.

საუბარია ქართველი ფეხბურთელის საფეხბურთო გზაზე, ასევე მის უარყოფით და დადებით მხარეებზე. გიორგი ჩაქვაძე გამოირჩევა მოედნის კარგი ხედვითა და პასის კულტურით. ამ თვისებების წყალობით მას

შეუძლია არაპროგნოზირებადი გადაწყვეტილებების მიღება. ხშირ შემთხვევაში ნახევარმცველი საკუთარ ნახევარზე გადადის და თავადვე იწყებს გუნდის შეტევას. აღსანიშნავია ჩაქვაძის დრიბლინგი და მაღალი ჩანაღებების უნარი. ფეხბურთელის არსენალში მოიძებნება ერთი-ერთზე თამაშის და სახიფათო საჯარიმოების მოპოვების თვისება.

იქვე წერია, რომ ჩაქვაძეს სამუშაო აქვს ძლიერ დარტყმებზე. ამ მხრივ ნაკლებად შეუძლია პრობლემა შეუქმნას მეტოქის კარს. კიდევ ერთი რჩევა, რომელსაც ქართველი ფეხბურთელს აძლევენ, სუსტ ფეხზე – მარცხენაზე მუშაობის გაძლიერებაა.

ოლივერ კანი: „სანამ ნოიარი ითავაშებს, მისი კონკურენტები უშანსოდ არიან“

გერმანიის ნაკრების ყოფილი მენეჯერი, ლეგენდარული ოლივერ კანი ეროვნული გუნდის ამჟამინდელ კოლეგებზე ისაუბრა, გარდა ამისა, ყოფილი კლუბის სატრანსფერო პოლიტიკასა და ბუნდესლიგის თემასაც შეეხო.

– რა შეიძლება თქვას ყოფილი მსოფლიოს საუკეთესო მენეჯერ ნაკრების დღევანდელ კოლეგების გამოსვლაზე კონფედერაციის თასზე, რომლებსაც შეეძლოთ თავი გამოეჩინათ მანუელ ნოიერის არყოფნის დროს?

– მანუელ ნოიერი დომინანტია თავისი დონითა და გავლენით. ამიტომ აქ ძნელია კონკურირება. ის, რომ ბერნდ ლენო ზოგჯერ შეცდომებს უშვებს, როგორც მატჩში ავსტრალიასთან, ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ჩემი კარიერის დასაწყისშიც ნაკრებში ყველაფერი ხავერდოვნად არ მიდიოდა. კევინ ტრასს პსჟ-ში წარმატება ჰქონდა, მასაც აქვს გამოცდილება საერთაშორისო დონეზე. მარკ-ანდრე ტერ შტეგენისადმი დიდი პატივისცემით ვარ განმსჭვალული. მან შეძლო, ბარსელონაში ფეხი მოეკიდებინა და პირველი ნომერი გამხდარიყო. ახლა ის მაღალ დონეზე თამაშობს. ვფიქრობ, ჩვენ დიდებული მენეჯერები გვყავს. მაგრამ მანუელი გამოიხატა.

– ლენო და ტერ შტეგენი – არცერთ მათგანს არ უთამაშია შეცდომის გარეშე რუსეთში. ეს თვალშისაცემია.

– ალბათ. მანუელ ნოიერი ჩრდილოეთი დგას მათ წინ. ვფიქრობ, რომ სხვა მენეჯერებსაც ის შეგრძნება აქვთ, რომ მას პრაქტიკულად ვერ გადაასწრებენ. რა თქმა უნდა, ეს ოდნავ დემოტივაციას იწვევს მათში. ამ სიტუაციასთან გამკლავება არც ისე იოლია.

– რამდენი ხანი ითამაშებს კიდევ მანუელ ნოიერი? ახლა რამდენი წლისაა?

– 31 წლის.

– კარგი, მაშინ, თუ მაგალითისთვის ბუფონს მოვიყვანთ, წარმომდგენია, ნოიერი როგორი თავის ტიპის იქნება მენეჯერების მომდევნო თაობისათვის. ჩვენ ეს ადრევე გვინახავს. საკმაოდ იყვნენ გოლიკებრები, რომლებიც დიდი დროის განმავლობაში რჩებოდნენ პირველ ნომრად: ზუბ მაიერი, ტონი შუმახერი, ბოლო ილგენი ან ანდრეას კოსტე. რთულია, წარმატებას მიაღწიო, როდესაც სხვა სისტემატურად თამაშობს მაღალ დონეზე.

– თქვენს ყოფილ კლუბზე ვილაპარაკოთ – მიუნხენის ბაიერზე. როგორ შეაფასებდით სიტუაციას ახალწვეულების გათვალისწინებით – რუდი, ზიულე, ტოლისო, განბრი.

– ყველა კარგი ფეხბურთელია. ჩვენ ვიცით, რომ ბაიერის სტრატეგია მსოფლიო დონის ვარსკვლავების შექმნა გარკვეულ პოზიციებზე, ხოლო, სხვა პოზიციებზე თუ გამოვა, საკუთარი აღზრდილობით მომარაგება. თუმცა, მომავალში გაუჭირდება საუკეთესო ფეხბურთელების მიღება მათი ფინანსური ძალის გათვალისწინებითაც კი.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ევროპის ბევრი სხვა კლუბი ასევე დიდი თანხების განმკარგავია, დღეს რომელიმე ტოპკლუბი ფინანსური მიზნების გამო თავის ფეხბურთელებს ნაკლებად გაყიდის.

– მთლიანობაში ალექსის სანჩესის შემთხვევაში ცუდი სიტუაციაა. არსენალმა ის არ უნდა გაყიდოს.

– არსენალი თანხების ნაკლებობას არ განიცდის. რატომ უნდა გაყიდონ სანჩესი?

– იმ შემთხვევაში, თუ თვითონ ფეხბურთელს სურს



ნასვლა.

– თუ ფეხბურთელს უნდა ნასვლა, კლუბს გაუჭირდება. მაგრამ ჩვენ ვილაპარაკოთ გამოსყიდვის მაღალი ფასისა და მაღალი ხელფასის სიტუაციებზე.

– თქვენი პროგნოზი არაა შთამბეჭდავი, როდესაც ბაიერის მიერ მსოფლიოს კლასის ფეხბურთელების შექმნაზე მიდის ლაპარაკი.

– ბაიერი ყოველთვის ამტკიცებს თავის სტატუსს – ევროპის ტოპკლუბის, რაც საუკეთესო ფეხბურთელებს იზიდავს, მაგრამ სისტემატურად ასეთი დონის შენარჩუნება რთულია.

– რამდენად რთული?

– ბაიერი წლიდან წლამდე ჩემპიონი ხდება, მაგრამ ამის უკან ძალიან რთული სამუშაო პროცესი დგას. ამის მიუხედავად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბუნდესლიგაში 2-3 კლუბი იყოს, რომელიც ბაიერთან ერთ დონეზე იქნება.

– რა იტყვით დორტმუნდის ბორუსაზე ან ლაიფციგზე?

– ლაიფციგი დიდ პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ ჯერჯერობით გრძელვადიან დისტანციაზე ისინი ვერ შეძლებენ ბავარიელებს კონკურენცია გაუწიონ. ამ მომენტისათვის ეს მხოლოდ ბორუსისა თუ გამოუვა. მე მომწონს მათი ფილოსოფია. მათ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე დადეს ფსონი, რომლებსაც დიდი პოტენციალი გააჩნიათ. სხვა კლუბები კი ძალიან დიდი ინტერვალით ჩამორჩებიან მიუნხენელებს.

– კლუბმა მწვრთნელის ასისტენტად ყოფილი ფეხბურთელის ვილი სანიოლის დანიშნებით ძალიან გაგვაოცა.

– ის უკვე მუშაობდა მწვრთნელად და გამოცდილება გააჩნია სპორტული დირექტორის პოზიციაზეც. ვილი კარგად იცნობს კლუბს და ძალიან სასიამოვნო ადამიანია. ეს დანიშვნა იმ იდეას პასუხობს, რაც ადრე იყო გაჟღერებული – მეტი ადამიანი მიიზიდონ კლუბში, რომელთანაც კლუბი ასოცირდება.

– საკვანძო სიტყვა: სპორტული დირექტორი. ეს თანამდებობა კვლავ ვაკანტურია.

– ვფიქრობ, რომ აქ ისინი არ ჩქარობენ გადანაცვლების მიღებას. მათ არ უნდათ სასწრაფოდ წარადგინონ სპორტული დირექტორი მხოლოდ პრეზენტაციის გამო.

პოლ პოგბა: „გაღნიერი მოგონებები კარგად უნდა დაიმახსოვრო“



მანჩესტერ იუნაიტედმა გასულ სეზონში მხოლოდ 54 გოლის გატანა მოახერხა პრემიერლიგაში და მე-6 ადგილი დაიკავა. ამის მიუხედავად, მანჩესტერელებმა მაინც მოახერხეს ევროპის ლიგის მოგება და ჩემპიონთა ლიგის საგზურის განაღდება, ასევე – ლიგის თასისა და ქოშინითი შილდის მოგება.

მანჩესტერ იუნაიტედის ნახევარმცველმა პოლ პოგბამ დასცინა მათ, ვინც მთელი სეზონის განმავლობაში იუნაიტედის თამაშსა და გოლების ნაკლებობას აკრიტიკებდნენ.

პოგბა აცხადებს რომ მისთვის მთავარი ტიტულებია და მიუხედავად სუსტი პერფორმანსისა მისმა გუნდმა მაინც მოახერხა 3 თასის მოგება.

მედიასთან საუბარში პოგბამ განაცხადა:

– მესმის, რომ ნინა სეზონში კარგად არ გვითამაშია. თუმცა, რაც გაგვაკეთია, 3 ტიტული მოვიპოვეთ და ყველაზე მნიშვნელოვანიც ესაა. შეიძლება მსოფლიოში საუკეთესო გუნდი იყო და ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდნენ, მაგრამ თუ ტიტულს არ მოიგებ ვის დაამახსოვრებდით? არავის...

გასულ სატრანსფერო ფანჯარაზე პოლი დიდი მითქმა-მოთქმის სუბიექტი გახდა, ვინაიდან ის სარეკორდო

თანხის, 110 მილიონის, სანაცვლოდ გადავიდა იუვენტუსიდან. მიუხედავად ამისა, ფრანგმა განაცხადა, რომ ის არ ფიქრობდა მასში გადახდელი თანხაზე:

– ერთ კვირაში სრულიად დავიწყებე, რა გადაიხადეს ჩემში.

პოგბამ მანჩესტერი 2012 წელს, სათამაშო დროის სიმცირის გამო დატოვა. მაგრამ მას ყოველთვის სჯეროდა, რომ ერთ დღეს უკან დაბრუნდებოდა.

– მანჩესტერი დავტოვე იმიტომ, რომ მეთამაშა. არ ჰქონდა მნიშვნელობა – სად, სულ ეს იყო, რაც მინდოდა. იმის მიუხედავად, რომ ასაკით პატარა ვიყავი, ვგრძობდი, რომ შემიძლო თამაში მაშინ და დროის დაკარგვა არ მინდოდა. ჩემს გონებაში ვიცოდი რომ ეს დასასრული არ იყო და ერთ დღეს, შესაძლოა, დავბრუნებულიყავი. დედა-ჩემმა მითხრა – ერთ დღეს მანჩესტერში აუცილებლად დაბრუნდები და ახლა აქ ვარ – ვარცხნილობას ვიცვლი მანჩესტერში.

პოგბა, რომელიც მუსლიმია, თავს განადგურებულად გრძობს სუიციდალური ბომბშეტყვით მანჩესტერ არენაზე და გული სწყდება, როდესაც მსგავს მოქმედებებს ისლამს უკავშირებენ.

– ეს ძალიან რთული მომენტია მაგრამ დანებების უფლება არ გვაქვს. მათ არ უნდა მიეცეთ უფლება, შემოვიდნენ ჩვენს თავებში. ამისათვის უნდა ვიბრძოლოთ. ბევრი სამუშაო არაა რაღაც ხდება, მაგრამ ცხოვრება უნდა განაგრძო. შენ არ შეიძლება მოკლა ადამიანი, ეს რაღაც სიგიჟეა და არ მინდა ეს რელიგიას მიენეროს. ეს არ არის ისლამი და ეს ყველამ იცის. მე ერთადერთი არ ვარ, ვინც ამას ამბობს.

რამდენიმე კვირის წინ პოლ პოგბას მამა, ფესუ ენტუანი, 79 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

– როდესაც საყვარელ ადამიანს კარგავ, სხვანაირად ფიქრობ. ამიტომაც ვამბობ, რომ ვერთობ ცხოვრებით, რადგან ის ძალიან ხანმოკლეა. მასსოფს, როგორ ვესაუბრებოდი მამაჩემს და ახლა იგი აქ აღარაა. მამაჩემი ძალიან ძლიერი და ჯიუტი ადამიანი იყო. ის იბრძოდა, მაგრამ მის ასაკში ეს მარტივი არ არის. ძალიან კარგი მამა იყო და ვამაყობ, რომ მისი შვილი ვარ. ის ერთ-ერთი ყველაზე სასაცილო კაცია, ვისაც ოდესმე ვიცნობდი. როდესაც მასთან იყავი, სულ გაცივებდა. ასევე ძალიან ჭკვიანიც, რადგან ის პროფესორი იყო. ბედნიერი მოგონებები კარგად უნდა დაიმახსოვრო...

შედეგები

3 ივლისი	
ფხვრული	
შეჯეთი. აღსვენსა	
პაკენი-პამარბი	2:0
დიურგარდენი-კალმარი	4:1
ნოჩევაკა. ელისეხია	
კრისტიანსლუ-რუსენბორგი	3:3
ნოჩევაკა	
უიმბლდონი	
საყუბი	
მარეი-ბუბლიკი	6:1,6:4,6:2
ნადალი-მილენი	6:1,6:3,6:2
მედვედევ-ვავრინკა ...	6:4,2:6,6:4,6:1
ნილინი-კოლშრაბერი	6:4,6:2,6:3
ნიშოკოვი-ჩეკინატი	6:2,6:2,6:0
ცონგა-ნორი	6:3,6:2,6:2
პუიე-უაზირი	6:7,6:4,6:4,7:6
მიულერი-ფუშოვიჩი	7:5,6:4,6:2
ბაუტისტა-გაუტი-პამაურერი	6:3,6:1,6:1
ერბერი-კირგოსი	6:3,6:4,6:0
ბედენე-პარლოვიჩი	6:7,7:6,6:7,7:6,8:6
კიუერი-ფაბიანო	7:6,7:5,6:2
ჯონსონი-კიკერი	6:4,7:5,6:3
ფონინი-ტურსუნოვი	6:1,6:1,6:3
ხაჩაოვი-კუზნეცოვი	7:6,2:6,6:3,1:6,6:2
ანდერსონი-ვერდასკო ..	2:6,7:6,7:6,6:3
ბრაუნი-სოუზა	3:6,7:6,6:4,6:4
ვესელი-მარჩნეკო ...	6:1,4:6,4:6,7:5,6:1
პერი-დუტრა სილვა	6:4,3:6,7:6,6:4
იანოვიჩი-შაპოვალოვი ..	6:4,3:6,6:3,7:6
ბოლინი-ლუ	6:3,1:6,6:3,6:4
ბასილაშვილი-ბერლოკი ..	6:4,7:6,6:1
სეპი-გომბოში	6:2,3:6,6:2,6:1
ბემელმანსი-პაასი	6:2,3:6,6:3,7:5
იანგი-ისტომინი	5:7,6:4,6:4,6:2
მონტიერო-უაიტინგტონი	4:6,6:3,7:6,7:6

ძუმპური-ოლიგო	6:2,6:0,6:1
როსოლი-ლააკსონენი ..	4:6,7:5,6:3,6:4
სტახოვსკი-ბენეტო	6:3,7:6,2:6,6:2
გოიოვიჩი-კოპილი	7:6,2:6,6:3,6:1
საყუბი	
პალეპი-ერაკოვიჩი	6:4,6:1
სეიტოლინა-ბარტი	7:5,7:6
კონტა-ჰსიე	6:2,6:2
ციბულკოვა-პეტკოვიჩი ..	6:3,3:6,9:7
ვ.უილიამსი-მერტენსი	7:6,6:4
კვიტოვა-ლარსონი	6:3,6:4
ოსტაპენკო-სასნოვიჩი	6:0,1:6,6:3
ვესინინა-ბლინკოვა	6:4,5:7,6:2
კისი-პიბინი	6:4,6:2
სევასტოპოლ-პუტინცევა ..	6:1,7:6
გარსია-ჩეპულოვა	6:1,6:1
სტრიკოვა-სეპედე როიგი ..	6:3,6:3
სუარეს ნავარო-ბუშარი	1:6,6:1,6:1
ვიტოვიტი-ლუჩინი	6:3,5:7,8:6
კონიუპი-ლისიცი	6:1,6:4
კრ.პლიშკოვა-ვინჩი	7:6,6:2
ბრეიდი-კოვიჩინი	6:3,6:1
ბეგუ-ბროუდი	6:4,6:2
ოსაკა-სორბესი	6:3,7:6
ვანგი-ჩანგი	6:3,6:4
აბანდა-ნარა	6:2,6:4
ჯორჯი-კორნე	5:7,6:4,6:4
საბალენკა-ხრომანოვა	6:3,6:4
სკიაგონე-მინელა	6:1,6:1
ვეკიჩი-ვიზლიანცევა	6:7,6:4,6:1
საკარი-სინიაკოვა	6:3,6:4
ბოგდან-დუნი	6:4,6:2
ბრენგლი-პოგენკამპი	6:3,6:3
აზარენკა-ბელისი	3:6,2:6,6:1
უოტსონი-ზანეცკა	6:1,7:6
პენგი-ვონდროუშოვა	6:7,6:0,6:4
ჰადად-მაია-რობსონი	6:4,6:2

მომზადდა მსხვილ ფორმატში



გორის თეატრის მსახიობს დახმარება უსაჭიროება

გორის თეატრის მსახიობმა მაია ტურაშვილმა განმარტებული მსახიობების დახმარების პრობლემები შექმნა და საზოგადოების დახმარება უსაჭიროება. მსახიობი ექიმებმა მკურნალობის ავთვისებიანი სიმსივნე დაუდგინეს. მკურნალობა სოლიდური თანხებით არის დაკავშირებული, რაც მსახიობს არ გააჩნია. მაია ტურაშვილის დახმარებას თბილისი ბანკში სპეციალური ანგარიში გახსნილი.



მაია ტურაშვილი:

— ძალიან მიმიძის, მაგრამ ვალდებული ვარ ვიბრძოლო ჩემი შვილების გამო. სხვა შემთხვევაში ამას არ გავაკეთებდი, რადგან იქაც, უფლის საუფლოში, მელოდება ჩემი უფროსი გოგო.

ვარ გორის თეატრის მსახიობი. გამოკვლევებით სამი თვის წინ დამიდგინდა მკურნალობის ავთვისებიანი სიმსივნე. დამინიშნეს ძალიან ძვირადღირებული ნაწილები — პერჯეთა — 8.000 ლარი. ჰერცეპტინი — 3.800 ლარი. სამწუხაროდ, ყველა რესურსი ამოგვეწურა. თბილისში ჩანერაც არ მაქვს, ამიტომ არ მაფინანსებს მთავრობა. დანარჩენ ნაწილებზე და ანალიზებზე რომ არაფერი ვთქვა, ყოველთვის რაც შემიძ-

ლო, უფლის წყალობით, ვეხმარებოდი გაჭირვებულს, რადგან თანადგომას დიდი ძალა აქვს და მასობრივად ჩარიცხულმა თუნდაც ერთმა ლარმა, შესაძლოა, იხსნას ადამიანის სიცოცხლე. დიდი შანსი მაქვს დავამარცხოვო ეს ვერაგი დაავადება, თუ მკურნალობის გაგრძელებას შევძლებ.

იმედი მაქვს, ჩემი შვილების თვალბრწყინი ჩამდგარი შიშის ღიმილით შეიცვლება. მადლი ხომ არ იკარგება. მადლის კეთება კი ყველაზე ღვთიურია.


გურამ ქართველიშვილი: „მხიარული გარდაცვალების, ვინაშ დავაჯერეს, რომ პატრიოტობა ფაშისმი ან რასიზმია...“

ისტორიკოსი გურამ ქართველიშვილი აცხადებს, რომ საქართველოს მძიმე პერიოდი უდგას და უკვე დროა, ქართველმა საზოგადოებამ გამოიღვიძლოს:

— მცირე გაცხეტილი პრიმიტივთათვის, ვისაც დააჯერეს, რომ პატრიოტობა ფაშისმი ან რასიზმია...

პატრიოტობა თუ რასიზმი და ფაშისმი, მე ვის დავეკარგე და ასეთები ყოფილან პირველი რიგში ჩამოსათვლელნი — დავით აღმაშენებელი და მსგავსნი მისნი, არადა რა იციან ნეოლიბერ-ოპერ-გრუპენ ფიურერებმა, რომ ასეთების მოტანილია აქამდე ეს ზღაპარივით კულტურა და ის მიწა, რომელიც რატომღაც ფეხქვეშ არ ეწვით უმადურობის გამო.

მე, პირადად, რაღა თქმა უნდა, დავითა და მსგავსთა მისთა კვალები ვდგავარ და ამის გამო ფაშისტად ნამდვილად არ ვგრძნობ თავს.



მარტივი მიზეზის გამო — ამ კულტურის უკან ათასწლეულები დგას, უწყვეტი ქართული სახელმწიფოებრიობით და არა ენჯოში გაყვლილი თრენინგები.

„იქს ფაქტორი“ სანდრო კურცხალიძე პოიზო

მუსიკალური შოუ „იქს ფაქტორი“ დასრულდა. მეოთხე სეზონის გამარჯვებული 18 წლის სანდრო კურცხალიძე გახდა. უკვე სამი სეზონია, ზედიზედ შოუს ბათუმელი კონკურსანტი იგებენ. გიორგი ნაკაშიძის და ავთო აბესაძის შემდეგ, „იქს ფაქტორის“ პრიზი სანდრო კურცხალიძემც ბათუმში წაიღო.

ფინალში სანდრო კურცხალიძესთან ერთად მოხვდნენ გრიგოლ ყვამიძე გიორგი გაბუნიას გუნდიდან და ჯგუფი „იქსტურა“ სტეფანეს გუნდიდან. ლელა წურწუშია ფინალში კონკურსანტის გარეშე დარჩა, თუმცა თავის კოლეგებს და მათ კონკურსანტებს აქტიურად გულშემატივობდა.

სანდრო კურცხალიძეს სოფო ნიჟარაძის გუნდში იყო. ის კონკურსის შესარჩევ ტურზე მეგობარს გაჰყვა, თვითონაც სცადა ბედი და პროექტის გამარჯვებულად გახდა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც სოფოს კონკურსანტმა გაიმარჯვა. პირველი სეზონი თორნიკე ყიფინაძე მოიგო თამაშ გოგონის გუნდიდან, მეორე სეზონის გამარჯვებული გიორგი ნაკაშიძე გახდა გიორგი გაბუნიას გუნდიდან, ხოლო მესამე სეზონის გამარჯვებულად მაყურებელმა ავთო აბესაძემ აირჩია ნიკა გვარამიას გუნდიდან. მეოთხე სეზონის ფინალს გიორგი ნაკაშიძე და ავთო აბესაძე ესწრებოდნენ, რომლებმაც კიდევ ერთი ბათუმელი გამარჯვება სანდროსთან ერთად იზიჰეს.

სამედი ფინალისტმა სამსამი სიმღერა შეასრულა — ერთი სიმღერა ბითლზის რეპერტუარიდან, თავისუფალი არჩევანით შერჩეული სიმღერა და მონაწილის ერთი საუკეთესო სიმღერა.

ფინალის დასასრულს წამყვანებმა გამოაცხადეს, რომ სულ შევიდა 195.409 ხმა და მათგან 57.72% სანდრო კურცხალიძის ხმები.

სანდრო კურცხალიძე: — რა უნდა ვთქვა, რა

სიტყვებით გამოგვცემ ჩემი ემოცია, ვერ კიდევ ვერ მოვდივარ გონზე თუ რა მოხდა, თქვენ მე და ჩემს ოჯახს გვაჩუქეთ ზღვა სიხარულისა. ამ ოთხ თვეში ძალიან ბევრი რამე მოხდა და ბევრი რამე ვისწავლე, ამაში თქვენ დამეხმარეთ ყველანი, ვინც ჩემს გვერდით იყავით, ვინც მაკრიტიკებდით და თუ გინდ მლანდელად, ძალიან ბევრი რამე მასწავლეთ თქვენ, ყველამ ერთად და უღრმესი მადლობა ამ ყველაფრისთვის.

სოფო ნიჟარაძე: — „იქს ფაქტორი“ 2017 დასრულდა, საოცარი ფინალის მომსწრე გავხდით ყველანი, განსაკუთრებული ნაკადი, უძლიერესი, ერთმანეთზე უკეთესი ფინალისტებით. ჩემმა სანდრომ ღირსეულად გაიმარჯვა ამ რთულ ბრძოლაში, მე ბედნიერი ვარ, როგორც მისი მენტორი, რომელიც ყოველი წამი, წუთი, საათი, დღე, კვირა, თვე გამიარა მასთან ერთად, მე ვიყავი თანამონაწილე ყველა ნერვიულობის, გამოცდის, გამონევის. მისხარია, რომ სანდროს დაუფასდა ეს შრომა, კიდევ ერთხელ მადლობა ყველას, ვინც ერთხელ მანინ დაურეკა სანდროს, ვინც მხარში გვედგა, ვისგანაც ვგრძნობდით სითბოს და სიყვარულს, ვინც ეს ბედნიერება მოგვანიჭა, ჩვენ ეს ერთად შევქელით.



რინი ვაჭერი ზოდისგან საერემონტო მასალებზე. სამწუხაროდ, პრიზის გარეშე დარჩა ჯგუფი „იქსტურა“. ბუნდითვის არც ერთმა კომპანიამ საჩუქარი არ გაიმეტა, არადა, ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც „იქს ფაქტორის“ ფინალში ბუნდმა მიიღო მონაწილეობა.

პროექტის გამარჯვებულმა შოუს დასრულების შემდეგ, მენტორთან, სოფო ნიჟარაძესთან ერთად, სპეციალურად „იქს ფაქტორის“ ფინალისთვის დამზადებული ტორტი გაჭრა.

სანდრო კურცხალიძე: — რა უნდა ვთქვა, რა

ქისტური ხელოვნების ნიშნები ფოლკლორის ცენტრში გამოიფინა

ფოლკლორის ეროვნულ ცენტრში ქისტური ფოლკლორისა და ხელოვნების ნიშნების გამოიფინა გაიმართა.

გამოფენასთან ერთად, ცენტრში კონცერტიც გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მეცნიერები, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანები, სკოლის მოსწავლეები, ფოლკლორის სფეროს წარმომადგენლები, ისტორიკოსები, ეთნოლოგები, სტუდენტები, პანკისელი ახალგაზრდები, პედაგოგები, მათ შორის დაინტერესებული პირები და სტუმრები ჩვენით-ინგუშეთიდან და პანკისის ხეობიდან.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ბაღში კი ჩატარდა კონცერტი, რომელშიც პანკისის ხეობიდან მოწვეული სხვადასხვა ანსამბლები და ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები მონაწილეობდნენ.

მოამზადა კეა სრემაშვილმა

ინდოლმა კილის ჯაგრისზე ბურთის ბზრილის რეკორდი დააყარა

ინდოეთის პენჯაბის შტატის მცხოვრებმა ახალი მსოფლიო რეკორდი დააყარა კილის ჯაგრისზე ბურთის ბზრილობაში. 25 წლის სანდიტ სინხი კალათბურთის ბურთის კილის ჯაგრისზე, რომელიც მას პირით ეჭირა, 53 წამის მანძილზე აბზრილებდა.

ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბზე გინესის რეკორდების წიგნში გამოაქვეყნა. ვიდეოგოლი სამ დღეში 18 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

მოამზადა კანა ნატიაშვილმა



დუბა ისევ მოკლეს

მსახიობი დუბა სხირტლაძე უკვე შეეწვია, რომ მის შესახებ სხირტლაძე ვრცელდება ჭორები. ისეთი ჭორებიც კი, როგორც მსახიობის გარდაცვალება.

ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია, რომ დუბა გარდაიცვალა. მისმა მეგობრებმა, რა თქმა უნდა, ეს ამბავი არ დაიჯერეს, თუმცა ამის გადამოწმება მანინ მსახიობთან გადამეცხადეს. როგორც დუბამ განაცხადა, ის მაროლზეა გასული.

თავად მსახიობი აცხადებს, რომ მსგავს ინფორმაციებს უკვე შეეწვია და სათვალავიც კი აერია, მოცლილმა ყურნალობებმა იმდენჯერ მოკლეს.



ლიზი პოკი საუკეთესოდ დაასახელეს



მომღერალი ლიზი ჯაფარიძე — ლიზი პოკი ფართო საზოგადოებამ მას შემდეგ გაიცნო, რაც 2014 წლის საბავშვო ევროვიზიაზე საქართველო წარადგინა.

„ჰედი დეი“ — „ბედნიერი დღე“ ასე ეწოდება ლიზი პოკის სიმღერას, რომელიც უკვე 3 წელია პირველობას არ თმობს და მისმა ნახევრმა ინტერნეტში იუთუბზე 9 მილიონს გადააჭარბა. საბავშვო ევროვიზიის

ოფიციალურმა გვერდმა იენისის თვეში 10 კონკურსანტის ყველაზე ყურებადი სიმღერის ათეული შეადგინა.

ტობ ათეულში მოხვდნენ სლოვენის, ბულგარეთის, ბელგიის, რუსეთის, სომხეთის, მაკედონიის კონკურსანტები. პირველი ადგილი კი საქართველოს წარმომადგენელმა ლიზი პოკმა დაიკავა. მისი სიმღერა ჰედი დეი კი იენისის თვის ყველაზე ნახვადი ვიდეო გახდა.

სამგლოვიარო განცხადებები

მეგობრები თენგიზ გასვიანი, რევაზ გერგედავა, მერაბ დგებუაძე, ზურაბ ერქვანი, ვახტანგ თორდია, ანზორ ლაცუზბაია, ჯემალ ლეოლოიანი, გურამ მალაქვიძე, ზურაბ მებონია, ბესო ნაყოფია, თამაზ ჩოჩია, ოთარ ჩარკვიანი, ლონდერ ცაავა, თემურ ხევსურიანი სამიმეარს უცხადებენ დემურ კეკელიას დედის

სიძულე რუსუაძის-ქაქელიას გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

07.00 დოკ/ფ "ორი გაუმადარი"

იტალიელი 08.00 "მადგასკარის პინგინები" 09.00 "შობაზე დილას" 10.00, 03.40 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "პელონი ხილის საილუზიო" 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "შობაზე" 12.30 "ტელემანი" 12.45 "კაცების დრო" 13.50 "ფერმა" 14.20 "სიტყვების თამაში" 15.00, 02.40 C - სტუდია 16.30 "დღე მუზეუმში" 17.00 წინასამართლო 17.20 ფაშაპოლი.19 წლამდელია იეროპის ჩემპიონატი. სამარტოვილი - შპატი (პ/ტრ თბილისი) 19.30 "ტელელოგი" 20.40 "სპორტის დღე" 21.00 ტ/სერ. "ველური" 22.00 "მთავარი" - თამარ ჩიქვაძისთან ერთად 23.00 მს/ფ "ჩინოვანების ვიდეო. უნიკალი დარაბი" 01.00 მს/ფ "მასობრივი მიზიდვა" (ჯ.ლემონი)

08.00 დოკ/ფ "ლურჯი ღუნაი და გარეული ცხენები" 09.00 დოკ/ფ "ბერები ლაბორატორიაში" 10.00 "გეოგრაფი" 10.15 დოკ/ფ "ეროპა XX დაბალეული ეპილოგი" 11.05 დოკ/ფ "ველი" 12.00, 22.00 ტ/სერ. "ქაღალის შერა" 13.00 ტ/სერ. "ნახატი პარატი" 14.00 დოკ/ფ "სკეიტორდის ისტორია" 15.00 დოკ/ფ "ჩვენი ყოველდღიური საწამლევი" 17.00 დოკ/ფ "ღვინი და მეცნიერება" 18.00 დოკ/ფ "მონღოლეთის სახელმწიფო" 19.00 "თავისუფალი ტრიუნფი" 19.50 ფაშაპოლი.19 წლამდელია იეროპის ჩემპიონატი. ჩაბატი პირაპალი. 23.00 "შობაზე" (3 ნახე) 00.00 "ნამდვილი დრო" 00.30 ტ/სერ. "პაპარინა და მისი მალიშვილი"

05.50, 14.40 სერ. "პლივი" 07.30 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30 ქრონიკა 08.20, 09.20 იმედის დილა (გარემოლება) 10.05 სერ. "პაპარინა" 11.20 სერ. "ფიში" 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. "საბავშვო ორი სხმა" 18.45, 19.03 სერ. "შუაბრული სხმარება" 20.55 სერ. "ძაბ" 2 სერ. 22.00 ეკა სოფლისა თქმ შოუ 23.30 მანაურები 00.30 მს/ფ "ჯიბი პარი" 02.45 მს/ფ "ფილიპი"

06.00, 18.30 სერ. "შეგი

ზოლიანის ფარი" 06.45, 20.03 სერ. "დიდადილი სასუნა-მოსხის რიხა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილაშვილობის საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "შპარალი ანაპოლი" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "ფინალის სამშობლო" 15.30 სერ. "ნდოპარი სხმა" 16.55 სერ. "მასობრივი ფაშა" 22.00 ნანუკას შოუ 23.30 გააციენე და მოიგე

08.30 ან/სერ. ვარსკვლავი

ფერი ომები - მებაშვილები 09.00 სერ. პირობა ზაპარში" 13.00 სერ. "მოტივი" 15.00 სერ. "ანაბოგია" 17.00 სერ. "პირიპირი პარაპირა" 19.00 სერ. "პანიალი" 21.00 სერ. "მთიური" 22.30 მს/ფ "მთიური მთიანეთში" - მთიური სამე" 02.00 სერ. "მთიური მთიანეთში - ორი კომპი"

08.00 ანაზა 08.15 მულტფილი 08.30 სერ. "ღამის სილამაზე" 09.20 მულტფილი. "დინოზოური" 09.50 სერ. "სიზარულსა და შიშის შიშის" 10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.30 ტელემარკეტი 11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 2.30 ახალი ამბები 11.30 დოკ/ფ "ბრძოლა არსებობისთვის" XVIII ნან. 12.00 მოდი გავიყაროთ 13.00, 04.00 ბუნესკოდი 14.30, 19.55 მე რომ ვიყო 15.00 3-დან 5-მდე 16.25 დოკ/ფ "სიღელი" 18.00, 0.00 ფაშაპოლი 20.00, 03.00 პრიორიტეტი 21.30 ინტერვიუ განიკისთან 22.35 სერ. "სიზარულსა და შიშის შიშის" 1.00 მს/ფ "სა რა ჩაიღინა შილი"

06.15 დროის ჩანაწერები 07.00

მართლმადიდებლური კატეხიზმი 07.30 ჩვენი ფონი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთავი" 10.10 კვირა-აქის სიუჟეტი "იასამინი სულთნის აბრე-ანზორ სალუქვაძე" 10.40 დ/ფ "ველური ბუნება-ინდოეთი" 11.10 მინათოქმედი "სურულაშვილის მონასტერი" 11.25 მს/ფ რეზი წუთისიფლისა 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ერთობა მშვიდობიანი გაცეკვისა 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.40 გამოცხადებული სლოგანები კურამაზე 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ან/ფ 15.30 აქტუალური თემა "აბორტი" 15.50 კონცერტი 17.10 "ერთსულოვანი ოჯახი" - ჯარჯი ფხოველი 17.40 ძველი ალექსის ნინასწარმოებულნი 18.10 განთავის" სტუმარი 18.40 ძველი ალექსის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10 სიხალენი 19.15 დ/ფ "ალისკულების მოგზაურობა საქართველოში" 19.35 მს/ფ "სიზარულსა და შიშის შიშის" 20.40 მთლი ნებისა "ლიდა უფლის ოჯახს ეკუთვნა" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.20 დ/ფ "ერთი დღე რესტავრაციისთვის" 21.30 კვირის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 იფრის ეკლესია "საქართველოს ეკლესია ავტოკეფალიის გაუქმებამდე" 00.30 დ/ფ "შორიელთა სახელოვანი მაკრინე ამირეჯიბის სუფრა" 01.30 "მუადლე ერთსულოვნებაზე" (გამორება)

პროგრამები იმეჭვება საავტორო "ინფო სერვისი" ნებართვით

